# საჩემპიონატო

სპორტული გაზეთი ორშაბათი 21 აგვისტო 2006 №192 (2814) ფასი 50 თეთრი

## პატარები სუფრის თავში

### ორი ნაკრების ბარაქა: ევრომარაქა

A დივიზიონში გადასვლის ალავერდი საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებმა ახალგაზრდულისგან გადაილოცა. ერთი თვის წინ იყო, დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა 20-წლამდელებმა ევროპის უძლიერეს ნაკრებთა მარაქაში რომ დაიბევს ადგილი და ახლა იგივე მოახერხეს ნიკო ჩერქეზიშვილის 16-წლამდელებმაც. ჩვენმა კადეტებმა ტალინში გუშინ დასრულებული ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის ნახევარფინალში A დივიზიონში გადასასვლელი მატჩი ავსტრიელებს მოუგეს.

ეს გახლდათ მთავარი ჯახი, თორემ საკუთრივ ფინალს პრესტიჟის მნიშვნელობა-ლა თუ ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ჩერქეზიშვილის ბიჭებმა A დივიზიონში ადგილი დაიჯავშნეს, ფინალში ჩეხებთან თავი აღარ მოუკლავთ და დიდი სხვაობითაც წააგეს.

მაშ ასე — A დივიზიონისკენ მიმავალი გზა უკვე გვარიანად გაკვალულია და მას ეროვნული ნაკრებიც დაადგება სექტემბრიდან. გორდონ ჰერბერტის გუნდი სწორედ საკვალიფიკაციო მატჩებისთვის ემზადება და ამ უქმეებზე უნგრული სომბათჰეის ოთხთა ტურნირიც მოილია.

ქართველებმა შაბათს მაკედონიას მოუგეს, გუშინ კი მასპინძლებთან დამარცხდნენ და მესამე ადგილი დაიკავეს.




რატი წინამძღვრიშვილმა აიღო, წაიღო და გაიტანა

# მისი აღმატებულება შინაც მეჯლისზეა

## ბარსელონამ მესამე ტიტული ქალაქიდან გაუსვლელად მოიგო

პრიმერადივიზიონის დაწყებამდე ექვსი დღე დარჩა, „ბარსელონამ“ კი უკვე ირგუნა ერთი ჯილდო. ესპანეთის სუპერთასის საპასუხო მატჩში თანაქალაქელი „ესპანიოლი“ არ დაინდო და „კამპ ნოუზე“ 3:0 მოუგო. დეკუმ დუბლი შეასრულა, ერთიც ხავის ანგარიშზეა. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩიც „ბარსას“ გამარჯვებით დასრულდა — 1:0. წლეულს ეს უკვე მესამე ტიტულია „ბარსელონასთვის“: ჯერ ესპანეთის ჩემპიონი გახდა, მერე ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ახლა კი ესპანეთის სუპერთასიც მიითვალა.





# ვნახოთ თუ ბურდულიც უნდა ვნახოთ...

## კრივბასის ქართველებმა ერთმანეთი მოძებნეს

უკრაინის ჩემპიონატის მეოთხე ტური ქართველებისთვის უგოლო როდი გამოდგა — კიევის „არსენალმა“ ჯაბა კანკავას გოლით მოუგო დავით კვირველიას და ირაკლი მოდებაძის „ზაპოროჟიეს“, ხოლო „კრივბასმა“ ილია კანდელაკის, კახა მჟავანაძის და გიორგი შაშიაშვილის „ჩერნომორეცთან“ 2:2 რომ ითამაშა, კრივბასელთაგან ორივე გოლი ჩვენებურებმა გაიტანეს — ლადო ბურდულმა და ვასილ გიგიაძემ...



— მაგარი თამაში იყო, ძალიან დაძაბული. წინა სეზონში ამ გუნდებს შორის ქიშპი ჩამოვარდა და ეს გუშინდელ შეხვედრაშიც იგრძნობოდა. რა თქმა უნდა, „კრივბასის“ და „ჩერნომორეცის“ ქართველებს შორის ასეთი დაძაბულობა არ არის. ის კი უნდა ითქვას, რომ „ჩერნომორეცს“ მსაჯმა არდასანიშნი პენალტი დაუდო — ჯერ კარიდან დარტყმა დანიშნა, ხოლო 15-20 წამის შემდეგ გადაწყვეტილება გადათქვა და 11-მეტრიანისკენ მიუთითა.

— „კრივბასის“ გოლებზეც გვითხარი...

— გიგიაძის პასით გავიტანე — ვარდნაში, დასწრებაზე დავარტყი და ბურთი ცხრიანში აღმოჩნდა — კარგი გოლი გამოვიდა. გიგიაძემ კი თავისივე მოპოვებული 11-მეტრიანით გაიტანა. ვასოს კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა — ჯერ ჩემი პასით პირისპირ გავიდა მეკარესთან, მერე კი მისი დარტყმული ძელს მოხვდა.

— „კრივბასში“ ჩვეულ პოზიციაზე, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობ?

— „ჩერნომორეცთან“ ჯერ მარცხენა გარემარბი ვიყავი, მერე გამთამაშებელი, გიგიაძემ კი მარჯვენა გარემარბად ითამაშა. მატჩის ბოლოს ჩვენი უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, ორი-სამი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ...

— „კრივბასის“ მიზანი მიმდინარე სეზონში ათეულია?

— თუ ნორმალური მსაჯობა იქნა, რვა საუკეთესო გუნდში უნდა ვიყოთ. გადააგდე და გაიქეცი — ასეთ ფეხბურთს „კრივბასი“ არ თამაშობს, პირიქით, ასე ვთქვათ, ბურთის გაგორებით ვაწყობთ თამაშს და საკმაოდ კვალიფიციური ფეხბურთელები გვყავს — გიგიაძე, სერბი კრიშოვეცი, მოლდოველი ეპურიანუ, უკრაინელი საჩკო...

— რაც კლაუს ტოპმიოლერი გახდა საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელი, ნაკრებში არ მიუწვევიხართ...

— როგორც ვიცი, ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან აპირებენ „კრივბასის“ ერთ-ერთ თამაშზე ჩამოსვლას და ვნახოთ...

**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

I წრე. 2 ტური

**მეშაქრე 2:1 სპარტაკი**
**მეშახტე 1:1 ამერი 2**
**სამტრედია 3:0 რაჭა**
**მერცხალი 0:1 ნ. დინამოელი**
**გურია 0:0 მგლები**

დღეს

**გაგრა — ვიტ ჯორჯია 2**
**დინამო 2 — მესხეთი**
**ოლიმპი — ჩიხურა 2**
**მაღაროელი — ზესტაფონი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეშაქრე | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| სამტრედია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| მგლები | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| მერცხალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| დინამო 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მესხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ნ. დინამოელი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| მეშახტე | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ამერი 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ზესტაფონი 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ოლიმპი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 1 |
| რაჭა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |
| გურია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| მაღაროელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჩიხურა 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| გაგრა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## რაიმონ დომენეკმა 24 დათქვა

**საქართველოსთან** 2 სექტემბრის მატჩისთვის საჭირო ფეხბურთელთა სიას რაიმონ დომენეკი 24 აგვისტოს გამოაცხადებს. ამის თაობაზე ფრანგთა თავკაცმა გუშინ თავად განაცხადა და ისიც დასძინა, რომ შემადგენლობის დასახელების გარდა, იმავე დღეს პრესკონფერენციასაც გამართავს.

შეგახსენებთ, რომ 2 სექტემბრის თბილისური მატჩი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ „მამლებისთვის“ პირველია ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში.

**ლუკა თალაკვაძე**

# ხვალ: კიდევ ერთი საქართველო — რუსეთი



**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა პალანგის ტრადიციულ რვაგუნდა ტურნირზე ფინალში გასვლა სამი დღის წინ დაიბევა, როცა ჯგუფში მიჯრით მეორე მატჩი მოიგო. გუშინ კი ჰერბერტ ცანკერის ნაკრებმა ჯგუფის მესამე, არაფრისმომცემ შეხვედრაში 1:4 წააგო აზერბაიჯანთან.

და ვინ გვხვდება ფინალში? რუსეთი, რომელმაც თავისი ჯგუფის ბოლო ტურში მასპინძელი ლიტვა 6:0 გაანადგურა.

შეგახსენებთ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პალანგის ტურნირს ევროშესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად იყენებს. ამ შესარჩევის პირველ ჯგუფურ ეტაპს კი ოქტომბერში თბილისი მასპინძლობს და ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე სწორედ რუსეთია, დანარჩენი ორი კი — მაკედონია და გერმანია.

**ილია ნანობაშვილი**

პირველი ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| აზერბაიჯანი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |

მეორე ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 13:1 | 9 |
| ლატვია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | 4 |
| ლიტვა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:8 | 2 |
| უკრაინა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |

22 აგვისტო

ფინალი

**საქართველო — რუსეთი**

მესამე-მეოთხე ადგილები

**პოლონეთი — ლატვია**

მეხუთე-მეექვსე ადგილები

**ბელარუსი — ლიტვა**

მეშვიდე-მერვე ადგილები

**აზერბაიჯანი — უკრაინა**

## საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 3 ტური

თელავი. 20 აგვისტო. 17.30. ვაჟა ჩოხელი. 3 000 (ტევადობა 8 000)

### კახეთი 2:3 ვიტ ჯორჯია

1:0 სიხარულიძე (34), 1:1, 1:2 ლომაია (41, 47), 1:3 ფეიქრიშვილი (83), 2:3 ტეტიაშვილი (86)

**კახეთი:** გ. იაშვილი, კველიშვილი, გ. ლომიძე, მაღლაკელიძე, ბედოიძე (ტეტიაშვილი 86), კობაიძე, დ. ბურდული, ნ. დავითაშვილი (იმერლიშვილი 70), სოსელია, სიხარულიძე (ცისკარიშვილი 86), არუდაშვილი
*სათადარიგოები:* ცინაძე, ბიძინაშვილი, მურველაშვილი, ა. ბურნაძე
**მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაშვილი, დ. ლომაია, ადამაძე, ფეიქრიშვილი, გ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, გველესიანი, ლუჭაშვილი (ჯაფარიძე 89), ბერიაშვილი (გელაშვილი 46), ზ. სახოკია (ბეჟვაია 69)
*სათადარიგოები:* მიქაბერიძე, კაიშაური, გ. მელქაძე, თ. ლონლაძე
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** ბურდული (40), ფეიქრიშვილი (55), იაშვილი (56)

**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი, ა. კოკაია, დ. სანოძე, ვ. ელისაბედაშვილი

## კახეთის დაწყებული ვიტ ჯორჯიამ გააგრძელა

**გიორგი კაციტაძე** თელავიდან

**თელაველებმა** თამაში აქტიურად და მონდომებით დაიწყეს, თუმც მატჩის პირველი სახიფათო მომენტი ვიტელებმა შექმნეს — მე-16 წუთზე პაატა დათუნაიშვილის საჯარიმო ძელს მოხვდა. წუთში კი ვასილ ლუჭაშვილს გიგა იაშვილმა ნახტომში აუღო.

24-ე წუთზე არუდაშვილ-დავითაშვილ-ბურდულის კომბინაცია არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

32-ე წუთი: თელაველთა საჯარიმო დარტყმა გრიგოლ ბედიაშვილმა კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე სიხარულიძემ იყოჩაღა და 1:0.

ტაიმის ბოლოს „კახეთს“ ერთხელაც მიეცა შანსი, თუმცა ვერ გამოიყენა და დაისაჯა კიდეც — მცველთა უხეში შეცდომით დავით ლომაიამ ისარგებლა და თავურით იხეირა — 1:1.

48-ე წუთზე თელაველთა კიდევ ერთი შეცდომა და იმავ ლომაიამ ისევ თავურით იყოჩაღა და „ვიტ ჯორჯია“ დაწინაურდა.

ვიტელებმა მატჩის ბოლოს კიდევ ერთხელ გაიხარეს — პაატა დათუნაიშვილის მიერ ჩაწოდებულ ბურთს გიორგი ფეიქრიშვილმა მიუსწრო და ლამაზი გოლიც გაიტანა.

ამ გოლიდან სამ წუთში კი საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა — ლუკა ტეტიაშვილმა შორეული დარტყმით შეაგდო — 2:3.

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 3 ტური

# ეს არ იყო რეპეტიცია. ეს იყო სპექტაკლი

**კახა შალამბერიძე**

**ძალიან** სჭირდებოდა „ამერს“ ეს გამარჯვება. უფრო ზუსტად, ასეთი გამარჯვება. ბერლინის „ჰერტასთან“ საუეფასთასო საპასუხო მატჩამდე ოთხი დღით ადრე ჩემპიონატში ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტის წაქცევა სწორედ ისაა, რაც გუნდისთვის ყველაზე სასურველი იყო. ერთია „ჰერტასთან“ თამაში და მეორეა განწყობა — როგორ გახვალ გერმანელებთან საბრძოლველად მოედანზე. ახლა კი შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ „ამერმა“ ჰერტამდელი პრობლემები მოაგვარა — სამი ტურის შემდეგ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია...

მატჩმა აშკარად გაამართლა — გუშინ გლდანში საინტერესო, დაძაბული და ტემპიანი ფეხბურთი ვნახეთ. მასპინძლებმა თავიდანვე მყარად მოიკიდეს ფეხი მოედანზე და პირველი ხიფათიც მათ შექმნეს — სულიკო დავითაშვილის დარტყმულს მეკარე გადაეფარა.

ეს იყო და, პირველმა გოლმაც არ დააყოვნა: კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოს წინა ხაზთან მდგომ ვახტანგ ხვადაგიანს მიუვიდა და 1:0. ეს მე-11 წუთზე მოხდა. სამიოდ წუთში კი ხვადაგიანსვე ზუსტად ასეთივე მომენტი, ოღონდ შედარებით მახვილი კუთხიდან შეექმნა და ამჯერად მცველებმა დაუფარეს.

თამაში გახურდა. „ამერს“ ტემპში არც „დინამო“ ჩამორჩა, თუმცა ეგ იყო, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონებს საგოლე მომენტის შექმნა უჭირდათ და პირველ ტაიმში ოდენ შოთა გრიგალაშვილის შორეულ დარტყმას გამორჩნენ...

სამაგიეროდ, „ყვითლებს“ ერთხელაც შეეძლოთ გატანა — შესვენებამდე ბევრიც არაფერი რჩებოდა, ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს გიორგი დავითნიძემ თავური რომ მიაყოლა — „დინამო“ მეკარის შესაშურმა რეაქციამ გადაარჩინა.

ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა ბურთიც გააგორეს, ერთი-ორი სხარტი „კვადრატით“ მაყურებელიც გაახალისეს და მეტოქეს სივრცეებიც ისე შეუზღუდეს, რომ ზურაბ ქვაჩახიას სიმშვიდე არ დარღვევია.

მეორე ტაიმში „დინამო“ შეუტევს — მაყურებლის ერთი ჯგუფის ასეთი წარმოსახვითი სცენარი ალბათ საფუძველმოკლებული არ იყო, მაგრამ როცა საქმე წარმოსახვაზე მიდგება, ჯერ რატი წინამძღვრიშვილის გოლზე უნდა ვთქვათ. წარმოსახვა შემთხვევით არ გვიხსენებია. ვერ დაიჯერებთ, როგორი ძნელია ახლა ჩემს ადგილზე ყოფნა და 47-ე წუთზე მომხდარის ისე აღწერა, რომ თქვენ ამერელთა მეთერთმეტე ნომრის მიერ გატანილი გონებაში ზუსტად წარმოისახოთ: მოედნის ცენტრში მიღებული ბურთი რატიმ ერთი შეხებით თავზე გადაუგდო მცველს, სისწრაფე აკრიფა, საჯარიმოსთან მისულმა ორი მცველი მოძრაობაზე დაიჭირა, კარს გახედა და მოჭრილი დარტყმით შორეულ ცხრიანში შეაგდო — 2:0. ასეთი გოლები საქართველოს ჩემპიონატში ძალიან იშვიათად გადის...

„დინამოს“ საქმე გაურთულდა და კახა კაჭარავამაც შეცვლებს მიმართა — ჯერ მიხეილ ბობოხიძე ჩართო თამაშში, მოგვიანებით კი ეკვადორელი ახალწვეულები, ხავიერ ანგულო და მიგელ ურტადოც შეაშველა გუნდს.

უცხოელთა დებიუტი უილბლო გამოდგა — „დინამომ“ ვერც მათი დახმარებით შეძლო ქვაჩახიას კარში სახიფათოდ დარტყმა, თუმცა ანგარიშში სხვაობის შემცირების შანსი მაინც მოინაგრა: 88-ე წუთზე დავითნიძემ სანდრო იაშვილი საჯარიმოში წააქცია და პენალტი. თერთმეტი მეტრიდან შოთა კაშიას ძლიერი დარტყმა ძელს მოხვდა...

ამის შემდეგ „ამერს“ კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა — სულიკო დავითაშვილს ცოტალა დააკლდა, დიმიტრი ტატანაშვილმა კი ხარიხას გაარტყა...

მოკლედ, 2:0 და „ამერი“ ლიდერია.

ბოლოს ერთიც: გუშინ „ამერის“ სტადიონზე კლუბის სეზონისწინა ცნობარი, საგანგებო სათასო გამოცემა, ამერელთა სახელობითი მაისურები, სამკერდე ნიშნები და სხვა ატრიბუტიკა გამოჩნდა. ცხადია, იქვე იყიდებოდა „ამერი“ — „ჰერტას“ მატჩის ბილეთებიც. ამ ყველაფრით ქართველი ქომაგი განებივრებული არ გახლავთ და ამადაც ღირს აღნიშვნა.

| | |
|---|---|
| თბილისი. 20 აგვისტო. 17.30. ამერი. 900 მაყურებელი | |
| **ამერი 2:0 დინამო** | |
| 1:0 ხვადაგიანი (11), 2:0 წინამძღვრიშვილი (47) | |
| *კაშიამ ვერ გაიტანა პენალტი (88 ძელი)* | |
| **ამერი:** ქვაჩახია, დავითნიძე, დ. მჭედლიშვილი (ბერიანიძე 68), ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დეკანოსიძე, დობროვოლსკი, დოლიძე (გ. ჯულაძე 62), ბოლქვაძე, ს. დავითაშვილი, რ. წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 76) | **დინამო:** ლორია, აბრიზიო (ანგულო 61), შ. კაშია, გ. თომაშვილი, ნავალოვსკი, გრიგალაშვილი, ხუციშვილი, ნერგაძე (ბობოხიძე 55), ს. კობახიძე, ჯ. დვალი (ურტადო 68), იაშვილი |
| **სათადარიგონი:** ლ. ნადირაშვილი; გვაძაბია, გაბისკირია, სევასტოპულო | **სათადარიგონი:** გრიშიკაშვილი; გიგაური, ხმალაძე, გ. მერებაშვილი |
| **მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე | **მწვრთნელი:** კახა კაჭარავა |
| **გაფრთხილება:** მჭედლიშვილი (45), დავითნიძე (88), ბობოხიძე (90) | |
| **მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ზ. ჯვარიძე, კ. ბერაძე, ა. კრიჭაშვილი | |

## პრესკონფერენცია

*კახა კაჭარავა:* ვულოცავ „ამერს“ დამსახურებულ მოგებას და „ჰერტასთან“ მატჩში წარმატებას ვუსურვებ. კარგი თამაში იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, წავაგეთ. იღბალმაც გვიმტყუნა — პენალტი ვერ გავიტანეთ, რამაც გუნდზე იმოქმედა და ბოლო შტურმიც ამის გამო არ გამოგვივიდა.

*გიორგი ჩიხრაძე:* მთავარი თამაში დღეს გვქონდა, „ჰერტაზე“ კი ახლა ვიფიქრებთ. „დინამო“ ჩვენი უშუალო კონკურენტია ჩემპიონატში და მიხარია, რომ მოვიგეთ. ბიჭების მადლობელი ვარ, დავალებები კარგად შეასრულეს. ვფიქრობ, დღევანდელი თამაშით მაყურებელიც არ დარჩებოდა უკმაყოფილო.



ბადრი კეთილაძის ფოტო



საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა | I წრე. 3 ტური

# ბოლო-ბოლო, ვინც ბოლო-ბოლო...



მალხაზ მთვარელიძის ფოტოები

თეიმურაზ ხარებავას თავურს გიორგი სომხიშვილი ხაზის შიგნით მისწვდა

ქუთაისი. 20 აგვისტო. 17.30. ტორპედო. 1 500 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 2:1 ბათუმი

| | |
|---|---|
| 1:0 კრასოვსკი (45), 1:1 ჯაბნიძე (46), 2:1 ხარებავა (90) | |
| ტორპედო: კოდალაევი, გამეზარდაშვილი, ფარულავა, ბერუაშვილი, გურული, ზ. ჩხეტიანი, გ. ჩხეტიანი, კრასოვსკი, მ. ლონლაძე (დოლონაძე 24), ნ. ნადირაძე (მუშკუდიანი 24; ხარებავა 49), ჭედია<br>სათადარიგონი: ქვილითაია, ცქვიტია, ლალაძე, შონია<br>მწვრთნელი: იური კვერნაძე | ბათუმი: გ. სომხიშვილი, ექონია, აფშილავა, გალოგრე, გოგიშვილი, ნაჭყებია, ჯაბნიძე, ა. მუჯირი (ცანავა 71), კოშკაძე, ოქრუაშვილი (კუნჭულია 25), გოგოლაძე (ტულუში 70)<br>სათადარიგონი: კაკალაძე, ბეჟანიძე, ფარტენაძე, ბაჯელიძე<br>მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |
| გაფრთხილება: დოლონაძე (60), გოგიშვილი (85), ნაჭყებია (88) | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ლომსაძე, ი. შენგელია, ვ. გუმბარიძე | |

**ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან**

**მატჩი** საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო და უპირატესობას თავიდანვე მასპინძლები დაეუფლნენ, მათ უკვე მე-4 წუთზე შეეძლოთ გატანა — მარჯვნიდან ჩხეტიანის ჩაწოდებულ საჯარიმოს გიორგი ჭედია გამოეხმაურა და ოდნავ ააცილა მიზანს.

მასპინძელთა იერიშები მერეც გაგრძელდა, მაგრამ ბათუმელები თავს კარგად იცავდნენ. პირველი ტაიმის შუაში კი მამუკა ლონლაძეს ზედიზედ ორჯერ შეეძლო სტუმართა დამწუხრება — ჯერ ზვიად ჩხეტიანმა ითამაშა მარჯვენა ფლანგზე კარგად, ორი მცველი მოატყუა და პასიც რიგიანი გააკეთა, მაგრამ ლონლაძემ სათანადოდ რეაგირება ვერ მოასწრო; წუთში კი კუთხურიდან ჩაწოდებულს დაჰკრა თავი ლონივრად, მაგრამ ფორტუნამ აქაც ბათუმელებს გაუღიმა.

„ტორპედომ" მალე ორმაგი შეცვლა განახორციელა — შემტევი დუეტი შეიცვალა და ამან კიდევ უფრო გაამწვავა მასპინძელთა იერიშები. სწორედ შეცვლაზე შესული მუშკუდიანი გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ათიოდ მეტრიდან ბურთი ღრუბლებში გაუშვა...

თამაში გათანაბრდა, ბათუმელებმაც რამდენიმე სახიფათო მომენტი განახორციელეს, მწვავედ შეუტიეს ამირან მუჯირმა და დავით გოგოლაძემ, მაგრამ უშედეგოდ.

პირველი ტაიმი თითქოს უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ბოლო წუთზე შეტევაში გართულ აჭარელებს კონტრშეტევა გაეპარათ — ერთბაშად ოთხი ქუთათური აღმოჩნდა ორი ბათუმელის წინააღმდეგ და გიორგი კრასოვსკის გატანა არ გასჭირვებია — 1:0.

მეორე ტაიმი ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, „ტორპედოს" კარიდან საკმაოდ შორს ჯარიმა რომ დაინიშნა — ჯაბნიძის უძლიერესად დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და მასპინძელთა კარში აღმოჩნდა — 1:1.

ამის შემდეგ ტემპი საგრძნობლად დაეცა, პირველი ტაიმისგან განსხვავებით, გუნდებს არაფერი გამოსდიოდათ, ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა, ფეხბურთელებსაც დაღლა ეტყობოდათ და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გოლის გამტანი არც ერთი გუნდი არ იყო...

მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ ბოლო წუთზე ჭედიას აქტიურობის შედეგად მასპინძლებმა ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვეს. ბურთთან ზვიად ჩხეტიანი მივიდა, მაღალი ბურთი ჩაჰკიდა საჯარიმოში და შეცვლაზე შესულმა თეიმურაზ ხარებავამ თავით ზუსტად დაარტყა — 2:1.

### პრესკონფერენცია

*ამირან გოგიტიძე:* შედეგით უკმაყოფილო ვარ. საშინლად არ გაგვიმართლა. პირველი ბურთი ტაიმის ბოლო წუთზე მცველების შეცდომის გამო გავუშვით, მეორე გოლისას კი მსაჯმა ჯარიმა მოიგონა. სულ მცირე, ფრეს ვიმსახურებდით...

*იური კვერნაძე:* „ბათუმი" ძალიან კარგი გუნდია, დალაგებულ და გამართულ ფეხბურთს თამაშობს. ჩემი გუნდის გარჯით კი მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ მთავარია, გავიმარჯვეთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორი თავდამსხმელი გვაკლდა. გუნდს პროგრესი ეტყობა და კიდევ მოვუმატებთ. შესაძლოა, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც დავიმატოთ.

ბოლნისი. 20 აგვისტო. 17.30. თამაზ სტეფანია. 300 (ტევადობა 4 500)

## სიონი 2:0 ჩიხურა

| | |
|---|---|
| 1:0 ალავიძე (56), 2:0 უგრეხელიძე (71) | |
| სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, ფრიდოლინი, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი, ა. ალავიძე, სიჭინავა (შავგულიძე 62), ლ. ბაჯელიძე, ვ. უგრეხელიძე (ქურასბედიანი 87), ევორე, კვიტაიშვილი (ბ. ცხადაძე 42)<br>სათადარიგონი: ბათიაშვილი, სვანიძე, რაქვიაშვილი, ზ. ჭელიძე<br>მწვრთნელი: გიორგი ყიფშიძე | ჩიხურა: მამალაძე, მემარნიშვილი, ს. ბურნაძე, ლ. მერებაშვილი (ბრეგვაძე 83), თედორაძე, მარგალიტაძე, მესხი, ჩომახიძე, სანიკიძე (თავბერიძე 74), კაკალაძე (სულთანიშვილი 62), მიქაძე<br>სათადარიგონი: შ. დოლიძე, ლ. გაშაკიძე, სტეფანიშვილი, ეგაძე<br>მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |
| გაფრთხილება: სიჭინავა (26), მარგალიტაძე (44), ცხადაძე (48), ჭიჭვეიშვილი (51), ჩომახიძე (68) | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, მ. ურუშაძე, მ. მაისურაძე | |

# ალავიძის ჩემპ-სიონ-ური
## ქვემო ქართლი ზემო იმერეთს დაჰყურებს

**ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან**

**მატჩამდე** 20-30 წუთით ადრე „თამაზ სტეფანიას" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა ესტუმრნენ. მათ უცხოელი სტუმარიც ახლდათ, რომელიც სტადიონს ათვალიერებდა — ბოლნისის სარბიელი მართლაც შეკოხტავებულ-გალამაზებულია, პრესლოჟაში ცალკე ტელე, ცალკე კი მწერალი ჟურნალისტებისთვისაა გამოყოფილი ადგილები, სამხრეთ ტრიბუნასთან სპეციალური ლოჟა გაკეთდა დელეგატისთვის და საპატიო სტუმრებისთვის; სტადიონის შესასვლელთან კი ასფალტია დაგებული და ადრინდელთან შედარებით, უფრო თვალსასიამოვნოა „თამაზ სტეფანიაზე" მისვლა.

კარგი ფეხი ჰქონიათ ფედერაციის მესვეურებს ბოლნისელთათვის. ეს ხომ ჩემპიონი „სიონის" პირველი საშინაო მატჩი იყო ამ სეზონში. გუნდების კაპიტნებმა, ბოლნისელმა ლევან ბაჯელიძემ და საჩხერელმა შოთა ჩომახიძემ, საქართველოს დროშა აღმართეს, მერე კი დაიწყო ძალიან მოსაწყენი ბურთაობა.

...ხვიჩა ქასრაშვილი შარშან ამ დროს „სიონის" თავკაცი იყო და პირველ წრეში ლაღ ფეხბურთს ათამაშებდა გუნდს, შედეგიც მშვენიერი ჰქონდა, თუმცა მერე მოხსნეს და მის ნაცვლად კახა ცხადაძე დაინიშნა. თქმა არ უნდა, ქასრაშვილი სხვანაირი ჟინით ჩავიდა ბოლნისში — არ მოგვერიდება ვთქვათ, რომ შურისძიების წყურვილით...

და კახა ცხადაძე? იგი დისკვალიფიცირებული იყო და „სიონს" გუშინ გიორგი ყიფშიძემ უთავკაცა.

„ჩიხურა" ფავორიტის რანგში არ ჩასულა ქვემო ქართლში, ამ გუნდს საწყის ორ ტურში კინკილა ქულა ჰქონდა და გოლიც არ შეეგდო, თუმცა ხელალებით ვერც იმას იტყოდა ვინმე, ბოლნისელები უეჭველად მოიგებენო — „ჩიხურას" უმაღლესი ლიგის დებიუტანტის კვალობაზე კარგი შემადგენლობა ჰყავს.

პირველი ტაიმი ისეთი დუნე გამოდგა, მხოლოდ ერთი საგოლე მომენტი შემოგვენიშნა, როცა მიხეილ კობაურის დარტყმულს საჩხერელთა მეკარე ზურაბ მამალაძე დაუხვდა. ისეთი ხვატი იყო, სირბილი კი არა, სუნთქვაც ჭირდა...

შესვენების შემდეგ „სიონი" მაგრად მიაწვა. კამერუნელმა ევორჩემ დახატული პასი მისცა თვისტომ ბოიომო ფრიდოლინს, რომლის ფლანგური ჩაწოდებისას მამალაძემ იმარჯვა და ბაჩო ცხადაძეს გატანა არ დაანება. კამერუნელები ვახსენეთ და, მცველი ბოიომო მართლაც ყოჩაღი ვინმეა, ფოლადივითაა დაცვაში და დახვეწილი მოძრაობები აქვს, ევორჩემ კი მეორე გოლი თითქმის მარტომ შექმნა, თუმცა მანამდე...

56-ე წუთზე გამოცდილი თენგიზ სიჭინავას პასის შემდეგ არჩილ ალავიძემ 25-27 მეტრიდან ისეთი ცაცია დააქუხა, თქვენი მოწონებული — ასეთი გოლები საქართველოს ჩემპიონატში ძვირად გადის.

ძირითადი შემადგენლობა, კი ბატონო, მაგრამ გრძელი სკამით ვერ დაიკვეხნის ხვიჩა ქასრაშვილის გუნდი. სათადარიგოებიდან მხოლოდ საბა სულთანიშვილს თუ შეეძლო შეტევების გამწვავება, ოღონდ ეს ვერ მოახერხა, ბოლნისელები კი სტუმრებზე სწრაფად და ჟინიანად თამაშობდნენ და მეორე გოლამდე ერთი იდეალური შანსი გაანიავეს: პირისპირ გასულ ვლადიმერ უგრეხელიძეს ზურაბ მამალაძემ აუღო ბურთი, დამატებაზე კი ლევან ბაჯელიძემ კარს გადააცილა.

71-ე წუთზე ევორჩემ აწაპნა ბურთი ლევან მერებაშვილს, ცხადაძემ მისი პასი ვერ შეიშნო და მამალაძეს გაარტყა ბურთი, თუმცა უგრეხელიძე იქვე იდგა — 2:0.

„ჩიხურა" კი მხოლოდ ამის შემდეგ მიეძალა შეტევებს. თუმცა გასატანი მაინც არ გავიდა — ჩომახიძის საჯარიმო ძელს მოხვდა.

### პრესკონფერენცია

*გიორგი ყიფშიძე:* ამ მატჩისთვის რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი შევიმუშავეთ, პირველი ტაიმის შემდეგ კი გადაადგილებები მოვახდინეთ და გაამართლა. თენგიზ სიჭინავამ და გიორგი კვიტაიშვილმა პირველად ითამაშეს ჩვენთან ამ სეზონში, კამერუნელი ჩასემიც გვაკლდა და ჯერჯერობით ამიტომ ვერ ვთამაშობთ საკადრის დონეზე. თუმცა იმედი გვაქვს, მომდევნო შეხვედრაში უფრო ძლიერ „სიონს" იხილავთ.

*ვახტანგ თურმანიძე („ჩიხურას" მეორე მწვრთნელი):* პირველ ტაიმში ბიჭები დავალებას კარგად ასრულებდნენ, თუმცა გაშვებულმა გოლმა აგვრია. ჩავალთ საჩხერეში, ფირზე ყველაფერს გავაანალიზებთ და იმედია, „კახეთთან" პირველ გოლებს და სამ ქულას მივითვლით — ყველანი ველით, როდის მოიგებს „ჩიხურა" უმაღლეს ლიგაში პირველ მატჩს.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა | I წრე. 3 ტური

# მასპინძელი უქეიფოდ იყო და...
## კინაღამ სტუმარმა იმასპინძლა

ზესტაფონი. 20 აგვისტო. 17.30. ცენტრალური. 4 500 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 0:0 ოლიმპი

| | |
|---|---|
| **ზესტაფონი:** გ. ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ღონღაძე, ხიდეშელი, ძამსაშვილი, კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე, ბ. ნოზაძე (ბ. გოცირიძე 46), გ. ჭელიძე, იმედაძე (ბჟალავა 78), იონანიძე (ფიფია 46) *სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე; ნ. კვასხვაძე, გაგაშელიშვილი **მწვრთნელი:** მერაბ კოჭლაშვილი | **ოლიმპი:** მ. ალავიძე, მიმინოშვილი, რ. ონიანი, მახვილაძე, სეთურიძე (ხოხონიშვილი 75), ხუბუა, ლ. ქებაძე, დვალიშვილი, აფციაური, კახელიშვილი, სირბილაძე *სათადარიგონი:* ნაჭყებია; გ. თოდუა, ც. კვარაცხელია **მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე |

**გაფრთხილება:** ქებაძე (21), ჩხეტიანი (37), დვალიშვილი (27)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, ი. უკლება, დ. გოგოლაძე, შ. ქუხილავა

**გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან**

**სტუმრებმა** მასპინძლებზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს. ოლიმპელები კარგად მოძრაობდნენ, ტაქტიკურად უფრო გამართულად გამოიყურებოდნენ და შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა კომპონენტში აჯობეს მეტოქეს.

თავიდან თანაბარი თამაში გაჩაღდა. მოედნის ცენტრში ბევრი ორთაბრძოლა იყო. პირველი სახიფათო მომენტი კი ზესტაფონელებმა შექმნეს — კახა ჩხეტიანმა კუთხური ისე ჩააბზრიალა, რომ ბურთი „ოლიმპის" შორეულ ძელს მოხვდა.

ამის შემდეგ სტუმრებმა უფრო მონდომებით შეუტიეს და მეტოქე ზეწოლის ქვეშ მოაქციეს. „ოლიმპი" შორეული დარტყმებითაც ცდილობდა გოლის გატანას, რაშიც განსაკუთრებით ლაშა ქებაძემ გამოიდო თავი: დაახლოებით 35 მეტრიდან ჯერ ხარიხა შეაზანზარა, მერე კი გრიგოლ ჭანტურიამ თითქმის იმავე მანძილიდან ისეთი ძლიერი დარტყმა მოიგერია, რომ მიკროტრავმა მიიღო.

შესვენების შემდეგ მერაბ კოჭლაშვილმა შეცვლებს მიმართა, მაგრამ ამით მისი გუნდის თამაში არ გაუმჯობესებულა.

ძალიან კარგი შანსი ჰქონდა თორნიკე აფციაურს — ბურთი მოხდენილად დაამუშავა, ერთი მცველი გააბითურა და ჭანტურიას ჰაერში გაწვართვა ერთხელაც დასჭირდა.

მატჩის ბოლოს დაძაბულობამ იმატა. გუნდები უფრო მწვავედ ათამაშდნენ. ერთხელაც შედგა აფციაურისა და ჭანტურიას დუელი — ეროვნული ნაკრების მეკარემ მორიგი რთული ბურთი მოიგერია.

თავი გამოიდეს ზესტაფონელებმაც. გიორგი ჭელიძეს ორჯერ ჰქონდა კარგი შანსი, მაგრამ ჯერ მიზანმა უმტყუნა, შემდეგ კი ორიოდ მეტრიდან კარში დარტყმა ლერი ხოხონიშვილმა არ დაანება.

#### პრესკონფერენცია

*გიორგი კიკნაძე:* ჩემი ფეხბურთელების გარჯით კმაყოფილი ვარ. რომ არა ჭანტურია, ამ თამაშს მოვიგებდით.

*მერაბ კოჭლაშვილი:* „ოლიმპი" მართლაც სოლიდური გუნდია, კარგად ითამაშა. „ზესტაფონიდან" ფეხბურთელები ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში რომ იყვნენ გამოძახებულები, ამან სავარჯიშო პროცესი ჩაგვიგდო და დღეს კარგად რომ ვერ ვითამაშეთ, ამის ბრალი უნდა იყოს.

# გოჩაშვილმა დადო და არტყა
## ვაკის პარკში დაკარგული მერანი



ვლადიმერ გოჩაშვილი წყვილი პენალტით გამოირჩა

თბილისი. 20 აგვისტო. 17.30 საათი. მიხეილ მესხი. 150 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 3:1 მერანი

1:0 გოჩაშვილი (63), 1:1 გაგუა (26), 2:1 ალავერდაშვილი (58), 3:1 გოჩაშვილი (67პ)

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი:** გვარამაძე, თუთბერიძე, ებრალიძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ვ. გოჩაშვილი, კუპრეიშვილი, გულორდავა, ბარბაქაძე (ციფიანი 81), ალავერდაშვილი (დეისაძე 72), ცხომარია (დ. ფოფხაძე 46) *სათადარიგონი:* ზუხბაია; ბახტაძე, გიგინეიშვილი **მწვრთნელი:** ამირან მინაშვილი | **მერანი:** გლუნჩაძე, ბესარაშვილი, თ. მჭედლიშვილი (კ. ხანიშვილი 60), ოსიტაშვილი, კვარაცხელია, ცისკარაული (ლ. მანწკავა 68), ქერაშვილი, კარსანიძე, გაგუა, ქორიძე (ბურჯანაძე 90) *სათადარიგონი:* სეფიაშვილი; დათუნაშვილი, დ. ხანიშვილი, ნეფარიძე **მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი |

**გაფრთხილება:** კვარაცხელია (41), ბესარაშვილი (43), გოჩაშვილი (44), ოსიტაშვილი (68)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, ზ. ასკაროვლი, გ. ცინცაძე, ო. ხეცაძე

**დავით თავართქილაძე**

**შედეგი** ლოგიკური გამოდგა — გუშინ „ლოკომოტივი", უბრალოდ, „მერანზე" უკეთესი გუნდი იყო და არ ყოფილა სხვა ისეთი ფაქტორი, რამაც სასწორი ერთ მხარეს გადასწონა.

ძალიან სადა და ჩვეულებრივი მატჩი გამოდგა, იყო ემოციები, პატარა აფეთქებები, ოთხი გოლი, მაგრამ არ იყო დიდი ნერვიულობა და დაძაბულობა — რაც იქნება, იქნება — დაახლოებით ასეთი იყო მატჩის ხასიათი.

„ლოკომოტივს" შლეგად არ შეუტევია, ისე გამოადნო პირველი გოლი — სიღრმისეული პასით როდიონ ცხომარია მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და მოცელეს. ვლადიმერ გოჩაშვილმა კი ყოვნით, ჰაერში გაჩერებული ფეხით შეასრულა პენალტი — 1:0.

„მერანი" უცბად ვერ აბობოქრდა, თუმც ნელ-ნელა აუმჯობესებდა თამაშს და გაშვებული გოლიდან ოც წუთში გამთანაბრებელიც შეაგდო — მოხდენილი კომბინაციის შემდეგ გიორგი ქორიძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, თუმც ბურთი შეგნებულად გაატარა, ვალერი გაგუას ცაციას კი საგოლე რიკოშეტი მოჰყვა — გვარამაძე აქეთ გადახტა, ბურთი იქით.

ანგარიშის გათანაბრებამ მადა მოუმატა „მერანს" და ორი ისეთი კონტრშეტევა განახორციელა, გოლით რომ შეეძლო დაესრულებინა — ჯერ ილია ქერაშვილს მართებდა გატანა, მაგრამ გვარამაძეს ვერ აჯობა, შემდეგ ქორიძემ გაისროლა მარჯვენა მახვილი კუთხიდან და გვარამაძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

სახიფათო იყო გაგუას შესრულებული საჯარიმოც — გვარამაძემ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

მაგრამ „მერანი" ეს იყო და ეს — მეორე ტაიმში სტუმრებმა ღირებული ვერაფერი შექმნეს, თამაში „ლოკომოტივის" კარნახით წარიმართა.

მასპინძლები ხელმეორედ ასე დაწინაურდნენ — გიორგი ბარბაქაძემ ფლანგური ჯარიმა ჩააწოდა, მაღალი ბურთი ნიკა გუშარაშვილმა მოიგო და თავით დაუგდო გიორგი ალავერდაშვილს, ვისაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია...

უპირატესობას ისევ „ლოკომოტივი" ფლობდა და საქმე კიდევ ერთ 11-მეტრიანამდე მიიყვანა — გოჩაშვილმა ამჯერად გიორგი გულორდავას მონაგრებული პენალტით იხეირა.

...გოჩაშვილის რეიდი და არაზუსტი დარტყმა; დეისაძემ და გულორდავამ ძალიან ხელსაყრელი სიტუაციიდან „მერანის" მეკარეს ვერ აჯობეს; გოჩაშვილს უპენალტოდაც უნდა დაელაშქრა კარი და ბურთი მცველს გაარტყა; დეისაძის თავური გლუნჩაძემ გააუვნებლა...

„მერანი" კი ამასობაში სადღაც ჩაიკარგა...

გორი. 20 აგვისტო. 17.30. თ. ბურჯანაძე. 200 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:3 ბორჯომი

0:1 საჯაია (36პ), 0:2 მოდებაძე (38), 0:3 ნაკანი (73)

| | |
|---|---|
| **დილა:** გეგეშიძე (კეხუაშვილი 46), მასურაშვილი (ვარდოსანიძე 68), კურტანიძე, კობახიძე, ოლგესაშვილი, გ. ლომიძე, ნოზაძე, ვაჩეიშვილი (თომაშვილი 57), მძინარიშვილი, ა. ლაბაძე *სათადარიგონი:* აბრამიშვილი, ი. ლომიძე, დ. ნადირაძე, მ. სომხიშვილი **მწვრთნელი:** რევაზ მამესწარაშვილი | **ბორჯომი:** შეყრილაძე, დონდოლაძე, საჯაია, ქარქუზაშვილი, ბაქრაძე, ნაკანი, დ. ნადირაშვილი, დათვაძე (გოგიჩაიშვილი 77), მოდებაძე, შ. ჯიქია (თედიაშვილი 85), ტალახაძე (სუხიაშვილი 46) *სათადარიგონი:* ჩაფიძე, ლაზარაშვილი **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე |

**გაფრთხილება:** კურტანიძე (19), დონდოლაძე (53), ნაკანი (70)

**მსაჯები:** ა. ნონიკაშვილი, კ. ტეფნაძე, ზ. ბერულავა, ი. ურუშაძე

# გაჭირვება ვნახე, ჩემი დამავიწყდა

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**წინა** მატჩთან შედარებით „დილამ" გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა და თავიდან რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც შექმნა: მე-8 წუთზე არჩილ ოლგესაშვილმა გრძელი პასით გარღვევაზე გაიყვანა გალაქტიონ მძინარიშვილი, მაგრამ მისი დარტყმა ბორჯომელთა მეკარემ მოიგერია.

სტუმრებმა თანდათან ალღო აუღეს მასპინძელთა თამაშს და 21-ე წუთზე მათაც შეეძლოთ გატანა. დავით დათვაძემ მარჯვენა ფლანგიდან ზუსტად ჩააწოდა „დილას" საჯარიმოში შეჭრილ დავით ნაკანს, მაგრამ მისი დარტყმა სუსტი გამოდგა და კახა გეგეშიძე იოლად დაეუფლა ბურთს.

ტაიმის ბოლოს სტუმრებმა იძალეს და ორი ბურთი გაიტანეს: 36-ე წუთზე ოლგესაშვილმა საჯარიმოში წააქცია დათვაძე და პენალტი ზუსტად შეასრულა ედიკ საჯაიამ — 0:1. 38-ე წუთზე კი მასპინძელი მცველები ხელოვნური თამაშგარისას შეცდნენ, შოთა ჯიქიამ მეკარესთან პირისპირ გაიყვანა მოდებაძე და 0:2.

52-ე წუთზე „დილა" ვალდებული იყო, ანგარიშში სხვაობა შეემცირებინა — მასურაშვილმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ლაბაძე, მაგრამ...

ამის შემდეგ სტუმრებმა უფრო ყურადღებით განაგრძეს თამაში და „დილას" სახიფათო მომენტები აღარ შეუქმნია, თანაც გორელებს დაღლაც დაეტყოთ.

73-ე წუთზე ანგარიში სამამდე გაიზარდა. ნაკანმა „დილას" საჯარიმოში მოიხელთა ბურთი და 12-ოდე მეტრიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა.

10 წუთში „ბორჯომს" მეოთხეც უნდა გაეტანა, მაგრამ ნაკანმა და დათვაძემ „დილას" საჯარიმოში შეუთანხმებლად ითამაშეს და კარში დარტყმა ვერ მოახერხეს...

#### პრესკონფერენცია

*ვლადიმერ ხაჩიძე:* ჩვენ მოუმზადებლები ვართ, „დილა" კი ჩვენზე უარეს დღეშია. მომენტები მასპინძლებზე უკეთ გამოვიყენეთ და მოვიგეთ.

*რევაზ მამესწარაშვილი:* „ცხინვალიდან" დავიმატეთ მოთამაშეები. ნელ-ნელა მოვემზადებით და უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ვიბრძოლებთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| ტორპედო | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ოლიმპი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:0 | 4 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბორჯომი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ბათუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ჩიხურა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| დილა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:9 | 1 |
| კახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

# ინგლისი
## პრემიერლიგა
### I ტური

# ონილი ფრემ დაამუნჯა



რობი ფაულერმა „ლივერპული“ მარცხისგან იხსნა

**არსენალი 1:1 ასტონ ვილა**

0:1 მელბერგი (53), 1:1 ჟილბერტო (84)
**არსენალი:** ლემანი, ებუ, ტურე, ჟურუ, ჰოიტი (ფლამინი 80), გლები, ფაბრეგასი, ჟილბერტო, იუნგბერგი (უოლკოტი 73), ადებაიორი (ვან პერსი 65), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**ასტონ ვილა:** სორენსენი, ჰიუზი, მელბერგი, რიჯუელი, სამუელი, აგბონლაორი, მაკანი, დევისი (ჰენდრი 83), ბარი, ანხელი (ლაურსენი 90), მური (ჯემბა-ჯემბა 89)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ტურე, ჰენდრი, ანხელი
მსაჯი: პოლი
60 023 მაყურებელი

**შეფილდი 1:1 ლივერპული**

1:0 ჰალსი (46), 1:1 ფაულერი (70პ)
**შეფილდი:** კენი, გირი, ბრომბი (ლაიერტვუდი 75), მორგანი, ანსუორთი, იფილი (გილესპი 59), იაგიელკა, ტონგე, არმსტრონგი, ჰალსი (აკინბიი 83), ვებერი
მწვრთნელი: ნილ უორნოკი
**ლივერპული:** რეინა, კრომკამპი, ჰიიპია, კარაგერი (აგერი 34), რიისე (გონსალესი 26), ჯერარდი, სისოკო, ზენდენი, აურელიო, ფაურელი (პენანტი 83), ბელამი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მორგანი, სისოკო, კრომკამპი
მსაჯი: სტაილსი
31 726 მაყურებელი

**რედინგი 3:2 მიდლსბრო**

0:1 დაუნინგი (11), 0:2 იაკუბუ (21), 1:2 კიტსონი (43), 2:2 სიდუელი (44), 3:2 ლიტა (55)
**რედინგი:** ჰანემანი, მარტი, შორი, ინგიმარსონი, სონკო, სიდუელი, ჰარპერი, კონვი (ჰანტი 83), კი ჰიეონ სეოლი (გუნარსონი 83), დოილი, კიტსონი (ლიტა 45)
მწვრთნელი: სტივ კოპელი
**მიდლსბრო:** შვარცერი, პარნაბი, პოგატეცი, რიგოტი, არკა (დევისი 45), მორისონი (იონსონი 84), როჩემბაკი (მენდიეტა 68), ბოატენგი, დაუნინგი, ვიდუკა, იაკუბუ
მწვრთნელი: გარეტ საუთგეიტი
გაფრთხილება: სიდუელი, დაუნინგი, როჩემბაკი, ბოატენგი
მსაჯი: ჰალსი
23 855 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 უიგანი**

1:0 პარკერი (37), 1:1 მაკალოჩი (59), 2:1 ამეობი (64)
**ნიუკასლი:** გივენი, კარი, ბრამბლი, მური (ტეილორი 45), ბაბაიარო, სოლანო, პარკერი, ბატი (ნზოგბია 16), ემრე, დაფი, ამეობი (ლუკე 76)
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
**უიგანი:** კირკლანდი, ბოისი, დე ზეუვი, ჰალი, ბეინსი, ვალენსია (კონოლი 90), შარნერი, ლანძაატი (კევენაფი 87), მაკალოჩი, ჰესკი, კამარა
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: ჰესკი, ვალენსია, ლუკე
მსაჯი: ატკინსონი
51 569 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 უოტფორდი**

1:0 ჯონსონი (15), 2:0 არტეტა (82პ), 2:1 ფრენსისი (90)
**ევერტონი:** ჰოვარდი, ნევილი, იობო, სტაბსი, ნუნუ ვალენტე (ლესკოტი 49), დევისი (მაკფადენი 73), კარსლი, კეჰილი, არტეტა, ჯონსონი, ბიტი (ანიჩებე 74)
მწვრთნელი: დევიდ მოიერსი
**უოტფორდი:** ფოსტერი, დოილი, მარიაპა (დემერიტი 45), შიტუ, პოუელი, ჩამბერსი (ბუაზა 45), მაონი, ფრენსისი, იუნგი, კინგი, ჰენდერსონი (პრისკინი 79)
მწვრთნელი: ადრიან ბოტროიდი
გაფრთხილება: ბიტი, ანიჩებე, შიტუ, ფრენსისი
მსაჯი: უოლტონი
39 691 მაყურებელი

**ბოლტონი 2:0 ტოტენჰემი**

1:0 დევისი (9), 2:0 კამპო (13)
**ბოლტონი:** იასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ბენ ჰაიმი, ფორჩუნი, კამპო, დიუფი, ნოლანი, სპიდი, ვაზ ტე (იანაკოპულოსი 86), დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
**ტოტენჰემი:** რობინსონი, ლი (ჰალდსტოუნი 75), დოუსონი, დევენპორტი, ასუ-ეკოტო, ლენონი, ჯენასი, ზოკორა (კინი 59), დავიდსი, დეფო, ბერბატოვი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
მსაჯი: დოუდი
22 899 მაყურებელი

**პორტსმუთი 3:0 ბლექბერნი**

1:0 ტოდოროვი (26), 2:0, 3:0 კანუ (62, 84)
**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, პრიმუსი, კემპბელი, სტეფანოვიჩი, ონილი, პედრო მენდეში, დევისი, ტეილორი, მვარუვარი (ტომპსონი 87), ტოდოროვი (კანუ 59)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
**ბლექბერნი:** ფრიდელი, მოკოენა, ნეილი, ტოდი, გრეი, ბენტლი (ემერტონი 69), სევიჯი, რიდი, პედერსენი, მაკარტი (კუქი 82), რობერტსი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ტეილორი, სტეფანოვიჩი, ნეილი
გაძევება: ნეილი (65), ტოდი (90)
მსაჯი: ვაილი
19 523 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 3:1 ჩარლტონი**

0:1 ბენტი (14პ), 1:1, 2:1 ზამორა (52, 66), 3:1 კოული (90)
**ვესტ ჰემი:** კეროლი, მირსი (პანტსილი 45), ფერდინანდი, გაბიდონი, კონჩესკი, ბოიერი, მულინსი, რეო-კოკერი, ბენაიუნი, ზამორა (შერინგემი 82), ჰარვუდი (კოული 90)
მწვრთნელი: ალან პერდიუ
**ჩარლტონი:** კარსონი, იუნგი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, ტრაორე, ამბროზი (სორონდო 29), ჰოლანდი, ფაიე, ჰიუზი (რიდი 71), ჰასელბაინკი (მარკუს ბენტი 64), დარენ ბენტი
მწვრთნელი: იან დოუი
გაფრთხილება: ჰარვუდი, კონჩესკი, ტრაორე, იუნგი
გაძევება: ტრაორე (26)
მსაჯი: უები
34 937 მაყურებელი

**მანჩესტერი 5:1 ფულემი**

1:0 საა (7), 2:0 პირსი (15ს.კ.), 3:0 რუნი (16), 4:0 რონალდუ (19), 4:1 ფერდინანდი (40ს.კ.), 5:1 რუნი (64)
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ნევილი (სილვესტრი 45), ფერდინანდი, უ. ბრაუნი, ევრა, რონალდუ, ოში, სქოულზი, გიგზი (ჟი-სუუნგ პარკი 60), რუნი, საა (სოლსკიაერი 61)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**ფულემი:** ნიემი, როსენიორი, კრისტენვალი, პირსი, კედრიუ, მ. ბრაუნი (რადინსკი 61), დიოპი, ბალარდი, ბოა მორტე, ჯონი (მაკ ბრაიდი 64), ჰელგიუსონი
მწვრთნელი: კრის კოუმენი
გაფრთხილება: გიგზი, მ. ბრაუნი
მსაჯი: მარინერი
75115 მაყურებელი

**ჩელსი 3:0 სიტი**

1:0 ტერი (11), 2:0 ლამპარდი (26), 3:0 დროგბა (78)
**ჩელსი:** კუდიჩინი, ფერეირა, ტერი, კარვალიუ, ბრიჯი, რაიტ-ფილიპსი (კალუ 72), ლამპარდი, ესიენი, რობენი (დიარა 79), შევჩენკო, დროგბა (ნიკელი 83)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**სიტი:** ვივერი, რიჩარდსი, დისტინი, დანი, ტეტჩერი, სინკლერი, ბარტონი, დაბო (ვასელი 57), რეინა (აირლენდი 72), კორადი, სამარასი (დიკოვი 57)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
გაფრთხილება: ესიენი, დაბო, დიკოვი, კორადი
გაძევება: კორადი (63)
მსაჯი: ბენეტი
41 953 მაყურებელი

**„არსენალმა“** და „ლივერპულმა“ „ჩელსის“ პირველსავე ტურში აწყენინეს — ორივე აგებდა, მაგრამ ორივემ ფრედ ითამაშა. არადა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხმაურიანი სტარტი გამოვიდოდა ტიტულის ორ გამორჩეულ კანდიდატს წყვილად რომ წაეგო? ცხადია, შეჯიბრებისთვის, რომელიც აგვისტოში იწყება და მომავალი წლის მაისში მთავრდება ამ გუნდების ასეთი წაბორძიკება ფატალური ვერაფრით იქნებოდა, მაგრამ პრესას ხომ გაამხიარულებდა.

ასე იყო თუ ისე, ახალ „ემირატ სთედიუმზე“ „არსენალმა“ „ასტონ ვილასთან“ ითამაშა 1:1, ხოლო „ლივერპულს“ პრემიერლიგაში ახლადაბრუნებულ „შეფილდ იუნაიტედთან“ 1:1-ისთვის სათუო პენალტის დარტყმა დასჭირდა.

„კმაყოფილი როგორ უნდა ვიყო, მაგრამ წაგებით რომ არ დავიწყეთ მაინც კარგია — განაცხადა „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა — ეს იყო ტიპიური სეზონის პირველი შეხვედრა, როდესაც მოთამაშეებს ეტყობათ, რომ ფიზიკურად ბოლომდე მზად არ არიან. ამას დაამატეთ ისიც, რომ ბევრმა მათგანმა გასული კვირის შუაში სანაკრებო მატჩებში ერთი 90 წუთიც ირბინა“.

„ემირატებზე“ კი პირველი და შესაბამისად ისტორიული გოლი ბირმინგემელთა შვედმა მცველმა ოლოფ მელბერგმა გაიტანა. შეგახსენებთ, რომ „ასტონ ვილას“ მწვრთნელის თანამდებობაზე ეს გახლდათ პირველი მატჩი მარტინ ონილისთვის, მაგრამ მისტერ ონილს ამ დღეს გამარჯვების ზეიმი არ ეწერა, რადგან ყმაწვილკაცმა თეო უოლკოტმა — სწორედ მან, სვენ გორან ერიქსონმა მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ წაიყვანა და არ ათამაშა — „არსენალის“ შემადგენლობაში თავის ასევე პირველ შეხვედრაში გაიბრწყინა. ბრაზილიელ ჟილბერტოს სწორედ უოლკოტმა გაათანაბრებინა ანგარიში.

ონილი: „რომ წაგვეგო გული დაგვიმძიმდებოდა და შეგვექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ წინ სასტიკი ზამთარი გველის. რომ მოგვეგო უბრალოდ დიდებული იქნებოდა, ფრეზე კი არც კი ვიცი რა გითხრათ“.

ხოლო „ლივერპულმა“, როგორც მოგახსენეთ, „ბრამალ ლეინზე“საკმაოდ საეჭვო პენალტი დაარტყა. შეხვედრის პირველი გოლი რობ ჰალსის თავურის შემდეგ შეფილდელებმა გაიტანეს, მაგრამ 70-ე წუთზე ლივერპულელთა კაპიტანი სტივენ ჯერარდი მასპინძელთა საჯარიმოში წაიქცა და ამის წყალობით რობი ფაულერმა შინ ქულა გაიყოლა.

შეფილდელთა მწვრთნელი ნილ უორნოკი: „ასეთ მეტოქესთან თამაში დიდებულია. ჩვენ მათ დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ და მგონი ფრემაც მხოლოდ უნდა წაგვახალისოს“.

მაგრამ ჩამორჩენის გამოსწორება სინამდვილეში როგორ უნდა, ამის გაკვეთილი მთელ ინგლისს პრემიერლიგის კიდევ ერთმა წლევანდელმა შენამატმა „რედინგმა“ ჩაატარა. „რედინგის“ მოწინააღმდეგე ვინმე მეორეხარისხოვანი გუნდი კი არა, უეფას თასის გასული სეზონის ფინალისტი „მიდლსბრო“ გახლდათ, ხოლო ჩამორჩენა ერთგოლიანი კი არა ორგოლიანი იყო.

„რედინგის“ თავკაცი სტივ კოპელი: „საუცხოო ფეხბურთი ვითამაშეთ. პრემიერლიგაში დასაბრუნებლად მართლაც დიდი შრომა გავწიეთ და მოედანზე კიდევ მრავალჯერ გაჩვენებთ, რომ უმაღლეს საფეხურზე შემთხვევით არ ვართ“.

„ფრეტონ პარკზე“ „პორტსმუთმა“ სტუმრად ჩასული „ბლექბერნი“ დაამცრო 3:0, მისმა თავკაცმა ჰარი რედნაპმა კი თქვა უკეთაც შეგვეძლოო.

„სოლ კემპბელმა დაამტკიცა, რომ „პორტსმუთს“ მეტად გამოადგება“ — დასძინა რედნაპმა.

**ბაჩუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| პორტსმუთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ვესტ ჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ბოლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| რედინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ნიუკასლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ევერტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| არსენალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლივერპული | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| შეფილდი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ასტონ ვილა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მიდლსბრო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| უოტფორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| უიგანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ტოტენჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბლექბერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| სიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ფულემი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |

**III ტური**

22-23 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| ჩარლტონი | : | მანჩესტერი |
| მიდლსბრო | : | ჩელსი |
| ტოტენჰემი | : | შეფილდი |
| უოტფორდი | : | ვესტ ჰემი |
| ასტონ ვილა | : | რედინგი |
| ბლექბერნი | : | ევერტონი |
| ფულემი | : | ბოლტონი |
| სიტი | : | პორტსმუთი |

## ჩემპიონატი
### IV ტური

ქოვენთრი — ლესტერი 0:0; ბარნსლი — საუთჰემპტონი 2:2; ბირმინგემი — კრ. პალასი 2:1; ბარნლი — ვულვერჰემპტონი 0:1; დერბი — ნორვიჩი 0:0; იფსვიჩი — ჰალი 0:0; ლიდსი — კარდიფი 0:1; ლუტონი — სტოკი 2:2; პლიმუთი — უენსდი 1:2; პრესტონი — ქუინზ პარკი 1:1; საუთენდი — სანდერლენდი 3:1; ვესტ ბრომვიჩი — კოლჩესტერი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| კრ. პალასი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| კარდიფი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ლუტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| ნორვიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ბარნლი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ბარნსლი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:7 | 7 |
| პლიმუთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ვულვზი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| საუთჰემპტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 |
| საუთენდი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| სტოკი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| ქუინზ პარკი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| პრესტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| უენსდი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ლიდსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| დერბი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| ლესტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ქოვენთრი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ჰალი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| იფსვიჩი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |
| კოლჩესტერი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | 0 |
| სანდერლენდი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:9 | 0 |

## პირველი ლიგა
### IV ტური

ბორნმუთი — ჩელტენემი 2:1; ბრენტფორდი — ჰადერსფილდი 2:2; ბრისტოლი — ბლექპული 2:4; კარლაისლი — ლეიტონი 3:1; ქრიუ — ბრედფორდი 0:3; ჯილინგემი — ნორთჰემპტონი 0:1; მილუოლი — ოლდემი 1:0; ნოტინგემი — ბრაიტონი 2:1; პორტ ვეილი — ჩესტერფილდი 3:2; როტერჰემი — სკანთორპი 2:1; სუონსი — დონკასტერი 2:0; ტრანმერი — იეოვილი 2:1

## მეორე ლიგა
### IV ტური

გრიმსბი — მენსფილდი 1:1; სტოკპორტი — აკრინგტონი 1:1; ბარნეტი — ჰერეფორდი 3:0; დარლინგტონი — სუინდონი 1:2; ჰარტლპული — ტორკი 1:1; ლინკოლნი — უოლსოლი 2:2; დონსი — როვერსი 2:0; პიტერბრო — მაკლსფილდი 3:1; როჩდეილი — ნოთსი 0:1; შრიუსბე — ბოსტონი 5:0; უიკომბი — ბერი 3:0; ჩესტერი — რექსემი 1:2

## კონფერენსლიგა
### IV ტური

ბარტონი — ოქსფორდი 1:2; დაგ ენდ რედი — ტემუორთი 4:0; ექსეტერი — ალტრინჰემი 2:1; გრეივსენდი — იორკი 0:1; ჰალიფაქსი — გრეისი 0:2; ნორთვიჩი — კიდერმინსტერი 0:1; რაშდენი — ფორესტ გრინი 2:0; სტ. ალბანსი — ალდერშოტი 3:5; სტ. რეინჯერსი — საუთპორტი 1:0; სტივენეჯი — ქროული 2:3; ვეიმუტი — კემბრიჯი 2:1; უოქინგი — მორიკემბი 1:1

# გერმანია
## ბუნდესლიგა II ტური

### ნიურნბერგი 1:0 გლადბახი

1:0 შორტი (5)
ნიურნბერგი: შეფერი, გლაუბერი, რეინჰარდტი, ვოლფი, ბანოვიჩი, გალაშეკი (პინოლა 27), კრისტიანსენი (მინტალი 63), მნარი, პოლაკი (პაულუსი 90)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გლადბახი: კელერი, ბოგელუნდი, ზე ანტონიო, იანსენი, ბო სვენსონი, დელურა (ფლორესტა 45), ელ ფაკირი (სვერკოში 83), უნსუა, კირხი, პოლანსკი, ნოივილი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: შორტი, ვოლფი, ზე ანტონიო, დელურა, უნსუა
მსაჯი: ვაგნერი
47 000 მაყურებელი

### ვერდერი 2:1 ლევერკუზენი

0:1 ფრაიერი (15პ), 1:1 კლოზე (26), 2:1 ალმეიდა (77)
ვერდერი: ვიზე, ანდრეასენი (იენსენი 56), პასანენი, ვომე, ბაუმანი (შულცი 72), ბოროვსკი, ფრინგსი, ფრიცი, დიეგო, კლასნიჩი (ალმეიდა 45)
მწვრთნელი: თომას შააფი
ლევერკუზენი: ბუტი, ჰაგუი (კალსენბრაკერი 73), მადუნი, შტენმანი (ათირსონი 86), ბარბარესი, ბარნეტა (ვორონინი 81), კასტრო, ფრაიერი, რამელო, როლფესი, კისლინგი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: პასანენი, ბოროვსკი, ჰაგუი, ფრაიერი, ალმეიდა
მსაჯი: სტარკი
39 600 მაყურებელი

### ჰერთა 4:0 ჰანოვერი

1:0 პანტელიჩი (20), 2:0 დარდაი (31), 3:0 პანტელიჩი (63), 4:0 ებერტი (76)
*ბაშთურქმა ვერ გაიტანა პენალტი (87)*
ჰერთა: ფიდლერი, ფატი, ფრიდრიხი, შიმუნიჩი, ვან ბურიკი, ბაშთურქი, ჟილბერტო, დარდაი (ჩაჰედი 79), კაირო (ებერტი 62), ხიმენესი, პანტელიჩი (ლაკიჩი 73)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ფარენჰორსტი, ტარნატი, ზურავი, ბალიტჩი, ბრუგინკი, ჰუშტი (ანდერსონი 60), იანკოვი (ბრდარიჩი 39), ჰაშემიანი, შტაინერი (ლალა 70)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ჰუშტი, ვან ბურიკი, ტარნატი
გაძევება: ტარნატი (50)
მსაჯი: დრეესი
37 166 მაყურებელი

### კოტბუსი 2:2 ჰამბურგი

0:1 სანოგო (38), 1:1 მუნტეანუ (56პ), 2:1 რადუ (69), 2:2 დე იონგი (71)
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, კუკიელკა (ბაუმგარტი 82), მაკკენა, მიტრესკი, მუნტეანუ, როსტი, ზიებიგი, კოუნცელი, რადუ, შაო (გუნკელსი 45)
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
ჰამბურგი: კირშტაინი, დე იონგი, დემელი, კლინგბეილი, რაინჰარდტი, იაროლიმი, მაჰდავიკია, ტროხოვსკი (ვიკი 75), ვან დერ ვაარტი (ლაასი 90), გერერო (ლაუტი 59), სანოგო
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: როსტი, იაროლიმი, სანოგო
გაძევება: დემელი (81)
მსაჯი: პერლი
21 000 მაყურებელი

### დორტმუნდი 1:1 მაინცი

1:0 ამედიკი (76), 1:1 დე ოლივეირა (77)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ამედიკი, ბრჟესკა, დეგენი, დედე, კრინგე (რიკენი 83), კრუსკა, პიენაარი, ოდონკორი, ფრეი (შმოლარეკი 64), ვალდესი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
მაინცი: ვეხე, დუ რი ჩა, ფრიდრიხი, ნოვეკი, როსე, აზაუაგი (იოვანოვიჩი 90), ფიულნერი, გერბერი, პეკოვიჩი, დამი (დე ოლივეირა 54), დიაკიტე (ამრი 70)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: შმოლარეკი, ვალდესი, ფიულნერი
მსაჯი: ბრიჩი
70 100 მაყურებელი




ალმეიდამ გოლი ორიგინალურად აღნიშნა

# მუსიკალური ხასიათი

### ალემანია 0:1 შალკე

0:1 როდრიგესი (53)
ალემანია: შტრაუბი, დუმი (რეგეკამპი 71), კლიცპერა, ლეივაკაბესი, სიჩონე, ფიელი, პლასენრიხი (კოენი 75), შლაუდრაფი, ებერსი (იბისევიჩი 68), პინტო, რიოსლერი
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
შალკე: ნოიერი, ბორდონი, რაფინია (როდრიგესი 36), კრსტაიჩი, ბაირამოვიჩი, ერნსტი, ქობიაშვილი, ლინკოლნი, ლოვენკრანდსი (ასამოა 80), ჰალილ ალტინტოპი, კურანი (ჰამიტ ალტინტოპი 45)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: დუმი, პინტო, სიჩონე, იბისევიჩი, კოენი, ლინკოლნი, ერნსტი
გაძევება: კრსტაიჩი (29)
მსაჯი: ფანდელი
21 300 მაყურებელი

### არმინია 2:3 შტუტგარტი

0:1 მეირა (39), 1:1 აჰანფუფი (65პ), 1:2 კაკაუ (73), 2:2 ბიომე (76), 2:3 კაკაუ (82)
არმინია: ჰაინი, ბორგესი, კორჟინეცი, შულერი, ვესტერმანი, კამპერი (ბიომე 61), კაუფი, მარქსი, აიგლერი (კობილიკი 75), მასმანიდისი, ვიშნიარეკი (აჰანფუფი 45)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, დელპიერი, მანინი, მეირა, ოსორიო, ბიროფკა, და სილვა, ჰილბერტი, პარდო, კაკაუ, დალ ტომასონი (ტასჩი 68)
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: კორჟინეცი, ნეირა, და სილვა
გაძევებ: ოსორიო (65), და სილვა (80)
მსაჯი: გრაფე
22 095 მაყურებელი

### აინტრახტი 0:0 ვოლფსბურგი

*კლიმოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (81, მეკარე)*
აინტრახტი: პრიოლი, კირიაკოსი, რემერი (ოხსი 65), რუსი (კიოლერი 45), შპიხერი, ვასოსკი, ჰუგელი, მეიერი, შტრეიტი (კოპადო 76), ამანატიდისი, ტურკი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ვოლფსბურგი: იენჩი, მადლუნგი, მიორლე, კოროგა, შტიგმაიერი, კრჟინოვეკი (მენსეგეში 58), მაკიადი (კარპანი 77), სანტანა, ვან დერ ლეეგტე, ჰანკე (ბოგენდროპი58), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: რუსი, შტრეიტი, კოპადო, ოხსი, ჰუგელი, მიორლე, კიროგა
გაძევება: კირიაკოსი (88)
მსაჯი: შმიდტი
40 000 მაყურებელი

### ბოხუმი 1:2 ბაიერნი

0:1 მაკაი (42), 1:1 ჟუნიორი (52), 1:2 ლამი (65)
ბოხუმი: სკოვ-იენსენი, ბიონიგი (ბუტჩერი 79), დრსეკი, ლენსე, დაბროვსკი (პილე 76), ილიჩევიჩი (ვან ჰუტი 76), მალტრიცი, ტროიანი, ზდებელი, ჟუნიორი, მისიმოვიჩი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
ბაიერნი: კანი, დემიკელისი, ლამი, ლუსიო, სანიოლი, ვან ბუიტენი, ოტლი, სალიჰამიჯიჩი, შვაინშტაიგერი (დოს სანტოსი 90), მაკაი (პოდოლსკი 78), სანტა კრუზი (პიზარო 86)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: მალტრიცი, დემიკელისი, შვაინშტაიგერი
მსაჯი: რაფატი
31 328 მაყურებელი

**მიუხედავად** იმისა, რომ აგებდა, ბრემენის „ვერდერმა" შეძლო თამაშის შემობრუნება და ყოჩაღად მობურთავე „ლევერკუზენის" დამარცხება. ეს ბრემენელთა ზედიზედ მეორე გამარჯვებაა და მწვრთნელმა თომას შააფმა განაცხადა: „როგორც ვვარაუდობდით, მძიმე მატჩი გამოვიდა და ბევრი ოფლის ღვრა დაგვჭირდა სამი ქულის გამოსაგლეჯად. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ გუნდმა ხასიათი გამოავლინა და მალე გაშვებული გოლის შემდეგ არ გატყდა."

ანგარიში სტუმარმა პაულ ფრეიერმა პენალტით გახსნა, მაგრამ მიროსლავ კლოზემ გაათანაბრა, მეორე ტაიმში კი შეცვლაზე შესულმა პორტუგალიელმა უგო ალმეიდამ გაიტანა და ბრემენელ „მუსიკოსებს" მოაგებინა.

ვოლფსბურგელმა დიეგო კლიმოვიჩმა ფრანკფურტში „აინტრახტს" 81-ე წუთზე პენალტი ვერ გაუტანა — მეკარემ აულო და „მგლები" ქულასლა დასჯერდნენ.

თითო ქულა გაიყვეს „დორტმუნდმა" და „მაინცმაც". ამ მატჩში ორივე გოლი ორ წუთში გავიდა. მასპინძელმა ამედიკმა გახსნა ანგარიში და დორტმუნდელებს სიხარული არ დასცალდათ, მაინცელმა დე ოლივერამ უმალ გაათანაბრა.

გელზენკირხენის „შალკემ" პირველ ტურში შინ ვერ მოიგო, მაგრამ ამჯერად „ალემანიასთან" სტუმრად იყოჩაღა. არადა, „ხუმარებს" 29-ე წუთზე უხეშობისთვის მლადენ კრსტაიჩი გაუძევეს. კაცნაკლულობის მიუხედავად, „შალკე" უფრო კარგად თამაშობდა. შეტევაზე შესულმა დარიო როდრიგესმა მეორე ტაიმში თავური დარტყმით ხუთიოდ მეტრიდან გაიტანა, საგოლე პასი კი ბრაზილიელმა ლინკოლნმა მიითვალა. „ალემანია" ორი ტურის შემდეგ უგოლო და უქულოა.

„ჰამბურგმა" პირველი ტაიმი მოუგო „კოტბუსს", მაგრამ შესვენების შემდეგ საქმე ისე წავიდა, რომ ქულა გაუხდა სანატრელი — ბუბაქარ სანოგომ 20-ოდ მეტრიდან კოხტა დარტყმით გახსნა ანგარიში, მეორე ტაიმში კი მასპინძლებმა გაათანაბრეს. დავიდ იაროლიმმა ხელით ითამაშა საჯარიმოში და მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც კოტბუსელმა მუნტიანუმ გამოიყენა. აქედან ცამეტ წუთში გუნკელის პასს რადუ დაუხვდა და დამხვდურები წინ გაიყვანა, მაგრამ „ჰამბურგი" ჰოლანდიელებმა ბოლოს მაინც იხსნეს ქულა. რაფაელ ვანდრე ვაარტმა კუთხური ჩააწოდა, ნაიჯელ დე იონგმა კი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**




| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ვერდერი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 6 |
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ჰერთა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| მაინცი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| გლადბახი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ჰამბურგი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| აინტრახტი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვოლფსბურგი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| არმინია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კოტბუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| დორტმუნდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ბოხუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ალემანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ჰანოვერი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | 0 |

### III ტური

26 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| ბაიერნი | : | ნიურნბერგი |
| ჰამბურგი | : | ჰერთა |
| შალკე | : | ვერდერი |
| ლევერკუზენი | : | ვოლფსბურგი |
| შტუტგარტი | : | დორტმუნდი |
| გლადბახი | : | არმინია |
| მაინცი | : | აინტრახტი |
| ჰანოვერი | : | ალემანია |
| ბოხუმი | : | კოტბუსი |

## მეორე ბუნდესლიგა
### II ტური

კარლ ცაისი — ბრაუნშვაიგი 0:0; ჰანზა — აუე 1:0; მიუნხენ 1860 — ოფენბახი 3:0; კიოლნი — ბურგჰაუზენი 5:1; კობლენცი — ფიურტი 1:0; პადერბორნი — აუგსბურგი 1:0; კიოლნი — ფრაიბურგი 2:0; უნტერჰახინგი — დუისბურგი 0:1; კარლსრუე — კაიზერსლაუტერნი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| დუისბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| მიუნხენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| პადერბორნი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ჰანზა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| კარლსრუე | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ესენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ლაუტერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კობლენცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| აუე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| კარლ ცაისი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბრაუნშვაიგი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ფიურტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ფრაიბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ოფენბახი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| უნტერჰახინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| აუგსბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ბურგჰაუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | 0 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### IV ტური

ლევერკუზენი (მ) — უნიონი 0:0; ალენი — მაგდებურგი 2:1; ფორტუნა — ერფურტი 3:2; კილი — დორტმუნდი (მ) 5:1; ემდენი — ჰერთა (მ) 1:0; გლადბახი (მ) — ვუპერტალი 2:1; ზანქტ პაული — ვერდერი (მ) 2:1; ოსნაბრიუკი — დინამო 3:1; ჰამბურგი (მ) — ლიუბეკი 1:0

## სამხრეთ რეგიონალლიგა
### IV ტური

კირმასენსი — ინგოლშტადტი 0:1; კიკერსი — შტუტგარტი (მ) 1:1; ზიგენი — პფულენდორფი 2:0; მიუნხენი (მ) — კარლსრუე (მ) 1:1; ჰესენი — აალენი 0:0; ჰოფენჰაიმი — ელევრსბერგი 1:1; როიტლინგერი — დარმშტადტი 2:1; ზაარბრიუკენი — ბაიერნი (მ) 1:0; ვენი — კაიზერსლაუტერნი (მ) 2:1;

# საჩენაიარევმა გამზრდელი დაჭრა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. III ტური

**ოსერი 0:3 მარსელი**
0:1 რიბერი (45), 0:2 მაულიდა (49), 0:3 პაგისი (69)

**ლემანი 3:2 ვალანსიენი**
0:1, 0:2 სავიდანი (9, 26), 1:2 რომარიკი (37), 2:2 სამასა (53), 3:2 ბანგურა (80)

**ლანსი 1:1 ლორიანი**
1:0 დინდანე (41), 1:1 ჟალეტი (71)

**ნანტი 1:1 ტულუზი**
1:0 კუასი (4ს.კ.), 1:1 გილონი (64ს.კ.)

**პსჟ 1:0 ლილი**
1:0 პაულეტა (58)

**რენი 1:1 მონაკო**
0:1 კოლერი (12), 1:1 ბრაიანდი (85)

**სედანი 1:1 სოშო**
0:1 ქუერსია (17), 1:1 ლაშორი (87პ)

**სენტ ეტიენი 1:0 ლანსი**
1:0 ილანი (62)

**ტულუზი 1:0 ნიცა**
1:0 მატიო (45)

**ბორდო 1:2 ლიონი**
1:0 ფობერი (5), 1:1 ფრედი (28), 1:2 ვილტორდი (86)

**მეტსახელად** „საჩენაიარევმა", „მარსელისა" და საფრანგეთის ნაკრების ნიჭერმა ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ, სეზონში პირველი გოლი გაიტანა, მისმა გუნდმა კი „ოსერი" სტუმრად გაანადგურა. აღსანიშნავია, რომ „ოსერს" ჟან ფერნანდესი წვრთნის, რომელიც გასულ სეზონში „მარსელს" თავკაცობდა და სწორედ მან გაზარდა რიბერი.

ოსერელები აშკარად სუსტები არიან და ამაზე მათი მონაგარიც მეტყველებს — სამ ტურში თამაში არ მოუგიათ. რიბერიმ პირველი ტაიმის მიწურულს კოხტა გოლი გაიტანა— ბურთი მეკარეს თავზე გადაუგდო.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა სხვაობა ორამდე გაზარდეს და ამ შემთხვევაშიც საგოლე კომბინაცია



პედრო პაულეტამ (მარცხნივ) პარიზელებს მოაგებინა

„საჩენაიარევმა" წამოიწყო. მარცხნივ ნიანგს მიაწოდა, მან კი მაულიდა მონახა და 0:2.

აქედან სამ წუთში მასპინძელი კანგა აკალე უხეშობისთვის გააძევეს. თერთმეტნი ვერაფერს ახერხებდნენ და კაცნაკლულები რაღას იზამდნენ. მიკაელ პაგისმა მესამე გოლიც მიართვა ოსერელებს და „მარსელის" ფანები შინ ტაშფანდურით დაბრუნდნენ.

პსჟ-მ პირველი მატჩი მოიგო და ოდნავ გამოუკეთდა ხასიათი. შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში პარიზელები შინ, „ვალანსიენთან" დამარცხდნენ და „ლილთან" წაბორძიკების უფლება აღარ ჰქონდათ. მასპინძლები პირველი ტაიმის განმავლობაში აშკარად სჯობდნენ ლილელებს, მაგრამ ვერ გაიტანეს, სამაგიეროდ, მეორე ნახევრის დაწყებიდან 15 წუთში პედრო პულეტამ იყოჩაღა. მისი დარტყმული ბურთი გზად მეტოქე ფეხბურთელს მოხვდა და გეზნაცვალი შევარდა სტუმართა კარში. პორტუგალიელს მეორის გატანის კარგი შანსიც ჰქონდა, თუმც ძელი შეაზანზარა.

ამის მერე „ლილს" რაფაელ შმიცი გაუძევეს და პსჟ-ს სასურველი შედეგის შენარჩუნება აღარ გასჭირვებია კაცნაკლულ მოწინააღმდეგესთან.

პირველი გოლი გაიტანა „მონაკოს" მაისურით გიგანტმა ჩეხმა იან კოლერმა. მისი გუნდი „რენს" სტუმრად უგებდა, მაგრამ თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ბრაიანდმა ნაკუთხურალ ბურთს თავი კარგად შეაგება და ანგარიში გაათანაბრა. ეს იყო პირველი ქულა „მონაკოსთვის" და მის ახალ მწვრთნელ ლასლო ბოლონისთვის.

„ვალანსიენი" 27-ე წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდა „ლე მანთან", მაგრამ მასპინძლებმა მცირე სასწაული მოახდინეს და დრამატულ მატჩში მეტოქეს სამი ქულა გამოჰგლიჯეს. სტუმარმა სტივ სავიდანმა ჩვიდმეტწუთიან მონაკვეთში დუბლი შეასრულა — ჯერ ფეხით გაიტანა, მერე კი თავით, მაგრამ „ლე მანი" გონს მალე მოვიდა და შესვენებამდე რომარის კოფიმ ერთი გაქვითა. მეორე ტაიმის დასაწყისში კოფის დარტყმული ხარიხამ უკუაგდო და მამადუ სამასამ დამატებაზე ივარგა. „ლე მანი" იშტაზე მოვიდა, გულიანად შეუტია „ვალანსიენს" და ისმაელ ბანგურამ გამარჯვების შეაგდო. აღსანიშნავია, რომ გვინეელმა ფორვარდმა სამ მატჩში უკვე სამი გოლის გატანა შეძლო.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ლე მანი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| ლილი | 3 | 2 | 0 | 1 | [illegible] | 6 |
| ბორდო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ნანსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| სენტ ეტიენი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| სოშო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ლორიანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| პსჟ | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ტულუზი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ლანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| ტრუა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ვალანსიენი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ნანტი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| სედანი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ოსერი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| მონაკო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ნიცა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| რენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

### II დივიზიონი. V ტური.

აიაჩო — შატორუ 2:3; ბრესტი — მეცი 0:1; კაენი — ბასტია 2:0; გრენობლი — ტურსი 2:1; გენიონი — ამიენი 2:1; ისტრი — ნიორი 1:0; ლე ავრი — კრეტეი 2:1; ლიბურნი — დიჟონი 0:1; რეიმსი — მონპელიე 4:1; სტრასბური — გენგამი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაენი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 13 |
| მეცი | 5 | 4 | 0 | 1 | 6:2 | 12 |
| შატორუ | 5 | 3 | 2 | 0 | 13:8 | 11 |
| ბასტია | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | 10 |
| ლე ავრი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 10 |
| გრენობლი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:7 | 10 |
| რეიმსი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:3 | 9 |
| სტრასბური | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| ნიორი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| დიჟონი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:4 | 8 |
| გენიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:3 | 7 |
| ამიენი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| აიაჩო | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| ისტრი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:11 | 5 |
| ტურსი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| კრეტეი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |
| მონპელიე | 5 | 1 | 0 | 4 | 7:12 | 3 |
| გენგამი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | 2 |
| ლიბურნი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:10 | 1 |
| ბრესტი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:10 | 1 |

# კამიკავა და შამილი

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XVII ტური

**სატურნი 0:0 ზენიტი**

**ტომი 0:0 ტორპედო**

**როსტოვი 2:1 რუბინი**
1:0 ოსინოვი (11პ), 2:0 კალაჩოვი (28), 2:1 დომინგესი (37პ)

**ამკარი 2:2 მოსკვა**
1:0, 2:0 სავინი (33, 52), 2:1 ადამოვი (64), 2:2 სემაკი (68)

**ლუჩი 1:0 სპარტაკი**
1:0 მონარიოვი (87)

**ცსკა 2:1 სპარტაკი (ნ)**
0:1 კონცედალოვი (43), 1:1 ჟო (79), 2:1 ვაგნერ ლავი (83)

**შინიკი 1:2 დინამო**
0:1 რომაშჩენკო (15), 1:1 გორაკი (66), 1:2 დერლეი (87)

**კრილია 1:2 ლოკომოტივი**
0:1 გურენკო (47), 0:2 ასილდაროვი (57), 1:2 გუსინი (82)

**ვლადივოსტოკში** „ლუჩთან" სათამაშოდ მოსკოვის „სპარტაკმა" სათადარიგოები ჩაიყვანა, რადგან ამ კვირაში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო საპასუხო მატჩი ელის ჩეხურ „ლიბერეცთან".

შორეულ აღმოსავლეთში თამაში, „ლუჩის" სტადიონზე, სადაც ბალახი სანთლით საძებარია, ყველა სტუმარს უჭირს და არც „სპარტაკი" ყოფილა გამონაკლისი.

მატჩის დასაწყისში მოსკოველებმა გაიტანეს — ბაჟენოვი პირისპირ გავიდა მეკარე გორუსთან და მისი დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა, საიდანაც კარის ხაზს შიგნით დაეცა, მაგრამ მსაჯმა ვერ დაინახა და არ ჩათვალა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის იაპონელი არბიტრი კამიკავა სჯიდა.



ჟომ მეთოთხმეტე გოლი მიითვალა

ვლადივოსტოკელები მთელი თამაშის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ ბოლოსღა შეძლეს გატანა — შეცვლაზე შესულმა მონარიოვმა მასპინძლებს სამი ქულა მოუტანა.

ცსკა-მ ნალჩიკის „სპარტაკის" დამარცხება მატჩის ბოლო ათ წუთში მოახერხა, მანამდე კი სტუმრები იგებდენ კონცედალოვის გოლით, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს სამსვლიანი კოხტა კომბინაცია დაასრულა. ამ შემთხვევაში შეცდა რუსეთის ნაკრების კაპიტანი ალდონინი, რომელიც შემდეგ გაზაევმა შეცვალა.

კარვალიოსი და ვაგნერ ლავის შესვლის შემდეგ მასპინძლების შეტევები უფრო გაძლიერდა, რასაც ორი გოლი მოჰყვა. ჩემპიონატის ბომბარდირმა ჟომ თვენახევრიანი უგოლობის შემდეგ გაიტანა და 14 მოუგროვდა. ჟომ კარვალიოს ჩაწოდებული კუთხურის შედეგად თავური დარტყმით იხეირა, ხოლო მერე ვაგნერმა შეაგდო და ცსკა-ს მოაგებინა.

ლოკომოტიველმა შამილ ასილდაროვმა სამარში „კრილია სოვეტოვთან" სტუმართა მეორე გოლი გაიტანა და ჩემპიონატში საკუთარი გოლების ანგარიში გახსნა. ასილდაროვისთვის ეს მეორე მატჩი იყო რუსულ პრემიერლიგაში. შამილამდე კი „ლოკომოტივი" გურენკომ დააწინაურა დაახლოებით 25 მეტრიდან საუცხოო დარტყმით. სამარელებმა მხოლოდ ერთის გაქვითვა შეძლეს. გოლი სტანდარტულ მდგომარეობას მოჰყვა და გუსინმა თავით შეაგდო ბურთი „ლოკოს" კარში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 10 | 4 | 3 | 28:15 | 34 |
| სპარტაკი მ. | 17 | 8 | 7 | 2 | 36:22 | 31 |
| ლოკომოტივი | 17 | 8 | 6 | 3 | 30:20 | 30 |
| სპარტაკი ნ. | 17 | 8 | 4 | 5 | 25:19 | 28 |
| ტომი | 17 | 6 | 7 | 4 | 19:15 | 25 |
| კრილია | 17 | 6 | 6 | 5 | 26:21 | 24 |
| ლუჩ-ენერგია | 17 | 7 | 3 | 7 | 22:20 | 24 |
| ზენიტი | 17 | 5 | 9 | 3 | 21:20 | 24 |
| რუბინი | 17 | 6 | 6 | 5 | 19:21 | 24 |
| მოსკვა | 17 | 5 | 8 | 4 | 19:20 | 23 |
| სატურნი | 17 | 3 | 11 | 3 | 15:13 | 20 |
| როსტოვი | 17 | 5 | 4 | 8 | 23:29 | 19 |
| ტორპედო | 17 | 2 | 9 | 6 | 15:21 | 15 |
| ამკარი | 17 | 2 | 8 | 7 | 11:25 | 14 |
| დინამო | 17 | 2 | 7 | 8 | 15:24 | 13 |
| შინიკი | 17 | 1 | 5 | 11 | 9:28 | 8 |

# ბოიდის ორში ორი

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. IV ტური

**დანდი 0:0 დანფერმლაინი**

**ფოლკირკი 1:2 კილმარნოკი**
1:0 ლატაპი (44), 1:1 უელსი (45), 1:2 დი ჯაკომო (87)

**ჰიბერნიანი 3:1 მოზერუელი**
1:0 ბენჟელუნი (30), 2:0 ბრაუნი (65), 3:0 ჯონსი (82), 3:1 მაკდონალდი (90)

**რეინჯერსი 2:0 ჰართსი**
1:0, 2:0 ბოიდი (47პ, 49)

**სენტ მირენი 1:1 აბერდინი**
0:1 კროუფორდი (33), 1:1 ბროდფუტი (87)

**ინვერნესი 1:1 სელტიკი**
0:1 პირსონი (26), 1:1 მანრო (80)

**„რეინჯერსმა"** პოლ ლე გუენის ხელში „აიბროქსზე" პირველი მატჩი მოიგო. „ჩაფრებმა" კრის ბოიდის წყვილი გოლით „ჰართსი" დაამარცხეს, რომელიც ამ სეზონში ჩემპიონობას უმიზნებს.

ფრანგი მწვრთნელი, ცხადია, გახარებული იყო და თქვა, რომ ბოიდს მეტიც შეუძლია. „დიდებული შედეგია და ასე უნდა გავაგრძელოთ. ფეხბურთელებმა საუცხოოდ ითამაშეს. კრის ბოიდმა ორი გაიტანა და, ვფიქრობ, ის კიდევ უფრო მოუმატებს".

„რეინჯერსმა" პირველ ტურში მოიგო, მერე კი ორი მატჩი ფრედ ითამაშა და პოლ ლე გუენსაც კრიტიკა დაატყდა. ფრანგმა იცოდა, რომ ქომაგების გულის მოსაგებად „ჰართსის" ძლევა იყო საჭირო და მოახერხა კიდეც.

წინა მატჩისგან განსხვავებით, მწვრთნელმა 4-4-2 შეცვალა და 4-2-3-1-ზე გადააწყო გუნდი, რამაც გაამართლა.

მეორე ტაიმის დასაწყისში დადო პრსოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კრის ბოიდმა გაიტანა. შოტ-



პოლ ლე გუენი

ლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა, რომელიც წინა სეზონში ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, პენალტიდან ორ წუთში მეორე გოლიც მიაყოლა, ამჯერად თავურით.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| სელტიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| სტ. მირენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ფოლკირკი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ჰართსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| კილმარნოკი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:6 | 7 |
| აბერდინი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 6 |
| ჰიბერნიანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ინვერნესი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| დანდი იუნ. | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| დანფერმლაინი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| მოზერუელი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |

### I დივიზიონი. III ტური

ერდრი — ქუინი 2:2; გრეტნა — როსი 2:1; ლივინგსტონი — პარტიკი 2:2; სენტ ჯონსტონი — ჰამილტონი 0:0; დანდი — კლაიდი 3:0

### II დივიზიონი. III ტური

კოუდენბითი — ბრეჩინი 1:3; ფორფარი — ალოა 0:2; მორტონი —ეირი 0:0; პიტერჰედი — რეითი 0:1; სტირლინგი — სტრანრაერი 3:3

### III დივიზიონი. III ტური

ერუიკი — სტენჰაუზმური 0:1; ისტ ფაიფი — არბროთი 2:1; ისტ სტირლინგი — ალბიონი 0:1; მონტროუზი — ელჯინი 2:0; ქუინზ პარკი — დამბარტონი 1:0






# პროკურორმა ჰენრიკ ლარსონი მოითხოვა

**შვედური** გაზეთები წერენ, რომ „ჰელსინგბორგის" თავდამსხმელმ ჰენრიკ ლარსონმა შესაძლოა, მხოლოდ სპორტული სასჯელით ვერ დაიძვრინოს თავი. რამდენადაც ცნობილია, ქვეყნის თასის მეოთხედფინალში „ელფსბორგის" მცველისთვის ჯონ იონსონისთვის მუცელში დარტყმა (თუ ასეთი რამ მართლა მოხდა) უკვე პოლიციის გამოძიების საგნად იქცა. იონსონი მოედანზე დანარცხებულა და თამაში ველარ გაუგრძელებია.

საინტერესოა, რომ ეს ამბავი პოლიციას „კერძო პირმა" შეატყობინა. მსაჯს რაიმე კონფლიქტი არ შეუმჩნევია და შესაბამისად არც ვინმე დაუსჯია. ლარსონმა იონსონის მოედნიდან გასვლის შემდეგ თამაში ჩვეულებრივ განაგრძო და თავისი გუნდის მეორე გოლი გაიტანა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ლარსონმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მას ჯონსონთან არ უჩხუბია, უბრალოდ თავიდან იშორებდა მას, როგორც მეურვეს, თუმცა „ექსპრესენის" ცნობით ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა სვენ-ერიკ ალჰემმა ჰელსინბორგის პროკურორს საქმის გამოძიება დაავალა.

„ჩემთვის ცხადზე უცხადესია, რომ სპორტულ სარბიელზე საზოგადოებისთვის ჩვეულებრივ მისაღები ქცევა უნდა დამკვიდრდეს. საზოგადოება და მისი ნორმები, ყველაფერზე მაღლა დგას" — განაცხადა ალჰემმა.

**ბაჩუნა ძიდია**

# დიარამ იარა და მადრიდში მივიდა

**მაჰამადუ დიარა** მარდიდის „რეალს" დარჩა. პარასკევს გვიან ღამით „ლიონმა" და სამეფო კლუბმა მოილაპარაკეს და აფრიკელიც მომავალი ხუთი სეზონის განმავლობაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" ითამაშებს. დიარას ოფიციალურად „რეალის" ფეხბურთელად დღეს წარადგენენ.

ტრანსფერი 26 მილიონი ევრო დაჯდა. კაპელოც ძალიან გახარებული ჩანს — „დიარა შესანიშნავი ფეხბურთელია. იგი „რეალში" ადაპტირებას უპრობლემოდ მოახერხებს და გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთამაშე გახდება" — განაცხადა სამეფო თეთრების მწვრთნელმა „მარკასთან" საუბარში.

შეგახსენებთ, რომ აფრიკელის მადრიდში გადაყვანის საქმე ჩაშლის პირას იყო მისული — „რეალი" ფრანგული კლუბის სიხარბემ გააღიზიანა, ლიონელები დიარას მეტისმეტად ძვირად აფასებდნენ... თუმცა კაპელომ მაინც თავისი გაიტანა და „ბერნაბეუზე" მიიყვანა მიზანი №1 — ასე ეძახდა იტალიელი დიარას სატრანსფერო მოლაპარაკების დროს.

მედიამ 25 წლის მადრიდელი ახალწვეულის შესაფასებლად... ფრანკ რაიკარდსაც მიმართა, „რეალის" დაუძინებელი მტრის „ბარსელონას" თავკაცს. „კარგი ფეხბურთელია, ძალიან ძლიერი. დიარას იმ პერიოდიდან ვიცნობ, როცა ჰოლანდიურ „ვიტესში" თამაშობდა. მაშინ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, რაც აღსრულდა კიდეც" — თქვა რაიკარდმა.

მაჰამადუ დიარა 1981 წლის 18 მაისს დაიბადა მალიში, ბამაკოში. 1998-99 წლების სეზონში ბერძნულ „ოფიში" ითამაშა და შემდეგ „ვიტესს" მიაკითხა 3 სეზონით. 2002 წლის ზაფხულში აფრიკელი ნახევარმცველი „ლიონში" გადაიყვანეს, ამიერიდან კი კარიერას მადრიდულ გრანდში გააგრძელებს.

**ლადო ხომერიკი**



# უნივერსალური კანიბალი

## ჩელსის დაცვაში კაციჭამია ითამაშებს




**ინგლისის** ჩემპიონი „ჩელსი" პრემიერლიგის დაწყებას დაცვის გაძლიერებით შეეგება — ლონდონელებმა გერმანული ჰამბურგიდან ჰოლანდიელი ხალიდ ბულარუზი შეიძინეს.

25 წლის ბულარუზი უნივერსალური მცველია. მას შეუძლია როგორც ცენტრში ასევე მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე თამაში. სტილით აგრესიულია და ამისათვის ჰამბურგის ქომაგებმა „ხალიდ კანიბალი" შეარქვეს. რა თანხა გადააზდევინა მასში ჟოზე მაურინიუმ რომან აბრამოვიჩს ცნობილი არ არის.

„ჩელსი **TV**"-თვის მიცემულ ინტერვიუში მაურინიუს ასისტენტმა სტივ კლარკმა ასე განაცხადა:

„ბულარუზი მებრძოლი ფეხბურთელია და ეჭვი არ არის, ჩვენი გუნდისთვის შენამატი იქნება. მას შეუძლია ითამაშოს როგორც დაცვის ცენტრში, ასევე ფრთაზე. თუ არ ვცდები, მარჯვენა ფეხს ხმარობს, ჰოდა ასეთი უნივერსალის გუნდში ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია".

და მართლაც, მაურინიუ მცველების სიჭარბით ვერ დაიკვეხნის. ასიერ დელ ორნო „ვალენსიაში" წავიდა, მათთან აღარ არის გლენ ჯონსონიც, უილიამ გალასს წასვლა უნდა არსენალელი ეშლი კოულის ამბავი კი ვერა და ვერ გაირკვა.

ბულარუზმა კარიერა სამშობლოში, „ვაალვიკში" დაიწყო, საიდანაც ორი წლის წინ „ჰამბურგში" გადავიდა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „ჰამბურგი" ბუნდესლიგაში მესამე ადგილზე გავიდა. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ აწ უკვე „ჩელსის" მცველი, ჰოლანდიის ნაკრების თავკაცს, მარკო ვან ბასტენს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰყავდა წაყვანილი.

**ბაჩუნა ძიდია**

# ლომების მწვრთნელი

## მბოა მბოამ არი ჰაანი იპოვა

**კამერუნის** ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, წარსულში ჩინებული ჰოლანდიელი ფეხბურთელი არი ჰაანი.

არი ჰაანი 57 წლისაა. ფეხბურთელობის წლები „აიაქსში", „ანდერლეხტში" ლიეჟის „სტანდარდსა" და „პსვ ეინდჰოვენში" გაატარა. ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში მან 35 შეხვედრა ჩაატარა ისეთი ვარსკვლავების მხრდამხარ, როგორებიც გახლდნენ კრუიფი, ნეესკენსი და სხვები.

ჰაანის „მოუთვინიერებელ ლომთა" მომთვინიერებლად დანიშვნა რადიოში თავად კამერუნის სპორტის მინისტრმა ფილიპ მბოა მბოამ გამოაცხადა და დასძინა, რომ მისი ასისტენტი თეო დე იონგი იქნება, ხოლო მწვრთნელთა საბჭოში ამ ორის გარდა ფრედერიკ ნიონგა და ტომას ნკონო იქნებიან. სხვათა შორის, თურმე ლომებს რჩევებს წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი იანიკ ნოაც მისცემს.



ჰაანი კამერუნის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე პორტუგალიელ არტურ ჟორჟეს შეცვლის. შეგახსენებთ, რომ ჟორჟეს ხელში „მოუთვინიერებელი ლომები" აფრიკის თასიდან ნახევარფინალში გამოვარდნენ.

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედზე გამარჯვება




... ბრაზილიაში იმ ფეხბურთელებს, რომლებიც წარმოშობით ქვეყნის ჩრდილოეთი შტატებიდან არიან, ამრეზით, ირონიულად უყურებენ. სამხრეთელთა აზრით, „სოფლის“, ანუ ჩრდილოური შტატების ჩემპიონატი დაბალი დონისაა და იქ მობურთავე ბიჭებსაც არავინ აღიარებს... ერთადერთი, რამაც შეიძლება ჩრდილოეთში დაბადებულ კაცს ეროვნული ნაკრებისკენ გზა გაუკაფოს, ცენტრალური ან სამხრეთის გუნდებში დროული გაქცევაა. ჩემი ბედი, რომ „კორინთიანსსა“ და „პალმეირასში“ ვთამაშობდი — „სანტა კრუზი“ და მოჯი მირიმი“ რომ არ დამეტოვებინა, დღეს ეგებ უცნობი ფეხბურთელი ვყოფილიყავი.

ნაკრებში ჩრდილოელებს თითქოს ვერ ამჩნევენ. პირველად ეროვნულ გუნდში ოცი წლისა მიმიწვიეს, თუმცა მოედანზე ერთი წუთითაც არ შევსულვარ — კიოლნში გერმანელებთან მატჩში სათადარიგოებში ვიჯექი. მაშინ დავიფიცე, მთელ მსოფლიოს დავუმტკიცებ, ფეხბურთის უმაღლეს დონეზე თამაში რესიფეს შტატში დაბადებულსაც რომ შეუძლია-მეთქი.

არასდროს მშურდა არც რომარიო და არც რონალდო. ჩვენ დღემდე კარგი მეგობრები ვართ. ვთვლი, რომ ამ ბიჭებმა თავიანთი სახელდიდება სავსებით დაიმსახურეს. თუმცა ასევე სამართლიანად შევცვალე მე ისინი „ბარსელონაში“. მათი თაყვანისმცემელი ინჩასები უკვე მე მაღმერთებდნენ. რივალდოს ნიჭი მთელმა მსოფლიომ აღიარა... გარდა ბრაზილიისა, „სად დაიბადა? რესიფეში?! იქაური დიდ ფეხბურთს ვერ ითამაშებს“ — ამბობდნენ სამხრეთელები. ისინი ჩრდილოელთა მიმართ ქედმაღლობამ დააბრმავა.

როცა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად რომარიო, შემდეგ კი რონალდო დაასახელეს, ბრაზილიელი ჟურნალისტები მათთან ინტერვიუებისთვის წამსვე ესპანეთში ჩაცვივდნენ. ხანი გაივლის და, როდესაც მსოფლიოს საუკეთესო უკვე რივალდოა, თანამემამულე მედიას თითქოს ეს არც გაუგია. ბავშვობაში „ხისფეხას“ მეძახდნენ, ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს კი უკვე ვარსკვლავი ვიყავი, თუმცა კვლავინდებურად ვიბრძოდი ბრაზილიელთა აღიარების მოსაპოვებლად.

ყოველთვის, როდესაც ნაკრების ფორმას ვიცვამდი, თავი გამოცდაზე მეგონა — მწვრთნელები, თანაგუნდელები და, რაც მთავარია, ათიათასობით გულშემატკივარი მკაცრად მცდიდნენ. თუ საქმე არ გამომდიოდა, თავს საშინელ დამნაშავედ ვგრძნობდი. 1994 წლის მუნდიალისას და 1996 წლის ოლიმპიადაზე ზუსტად ასე მოხდა.

### ილუზიების სასაფლაო

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი დაწყევლილი თამაშის გამო ვერ წავედი. უცნაურია, მაგრამ ბრაზილიურმა მედიამ მაშინ თავის ჩვეულებას უღალატა და ამერიკული მუნდიალის წინ გაზეთები ერთიანად ჩემს მხარეს იყვნენ, ამტკიცებდნენ, ნაკრები არის რივალდოს პლუს კიდევ 21 „ჩვეულებრივი“ ფეხბურთელიო... ტელევიზიაც სულ რივალდოს ქებაში იყო და მეც თვითდაჯერებული გავხდი — ეს პირველად ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, გადაქელვას კი არა, ქებით ცაში აყვანას რომ მიპირებდნენ... ქვეყანამ ბოლოს და ბოლოს თითქოს ნაკრების ლიდერი შეამჩნია. ახლა მხოლოდ იმაზე კამათობდნენ, რა პოზიციაზე უნდა მეთამაშა.

ძირითადში ყოფნა რომ მეკუთვნოდა, საკონტროლო მატჩებმაც დაამტკიცეს. განსაკუთრებით კარგად არგენტინასთან ვითამაშე. მატჩი რესიფეში ჩატარდა და იქაურები არნახულად მქომაგობდნენ— ბრაზილიის ნაკრების ყველაზე უხერხულ მეტოქეს მათი თანამემამულე, „სოფლელი“ რესიფელი სტანჯავდა! ამან ჩემიანებს დიდი სიხარული მოუტანა.

მოკლედ, მუნდიალზე ჩემს მოხვედრას თითქოს ხელს ვერავინ და ვერაფერი შეუშლიდა. სამწუხაროდ, ბედმა ცოცხლად დამიმარხა ძირითადში მოხვედრის ილუზიები — ამერიკაში წასვლამდე საფრანგეთში პარიზის ნაკრებს ვეთამაშეთ, იქ კარგად ვერ ვიბურთავე და ნაკრებს ჩამომაშორეს... ვითომ ჩემმა ქომაგმა მედიამ კრინტიც არ დაძრა. აბა, მაშინ ეთქვა ვინმეს: ბრაზილიის ნაკრები არ არის რივალდოს პლუს სხვა 21 „ჩვეულებრივი“ მოთამაშეო. საშინელ დღეში ჩავვარდი, კარლოს ალბერტო პარეირას ნაკრებში კი იქამდე სარეზერვო ფეხბურთელი შეიყვანეს.

რაც მოხდა, მას ჩემებურ ახსნას ვუძებნი. კი, ფრანგებთან სუსტი ვიყავი, მაგრამ ნაკრებს მაინც უფრო პოლიტიკამ ჩამომაშორა, ვიდრე ფეხბურთმა. ისევ და ისევ ჩრდილოეთი და სამხრეთი... 1994-ში უკვე „პალმეირასში“ ვთამაშობდი, თუმცა ამ გუნდში იჯარით ვიყავი — ჩემზე უფლება „მოჯი მირიმს“ „სოფლურ“ კლუბს ეკუთვნოდა, რომელმაც ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასთან სიტყვა ვერ შემაწია. „მოჯი მირიმი“ არ იყო იმ ზომა-წონის, რომ ბრაზილიის ფეხბურთის მამებთან რივალდო დაეცვა. ასე გამოაგდეს ნაკრებიდან სამხრეთელთათვის აუტანელი ჩრდილოელი. ეროვნული გუნდის თვითმფრინავი ამერიკაში ყველაზე საჭირო მგზავრის გარეშე გაფრინდა.

### კოშმარი ატლანტის ოლიმპიადაზე

მთელი წელი დამჭირდა ნაკრებში დასაბრუნებლად. დავბრუნდი და პრესაშიც ძველებურად აჭიკჭიკდნენ: „რივალდო შეუცვლელია ბრაზილიის ნაკრებში...“ 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადა ახლოვდებოდა და ხალხი მხარს ისე მიჭერდა, როგორც არასდროს — კრიტიკოსთა ხმები გულშემატკივართა ალტაცებულმა ოვაციამ ჩაახშო.

თუმცა პოლემიკა მაინც არსებობდა. ბრაზილიას, ისევე, როგორც ოლიმპიადის მონაწილე სხვა გუნდებს, ტურნირზე 23 წელს გადაცილებული მხოლოდ სამი ფეხბურთელის წაყვანა შეეძლო. მე ამ სამეულში პირველ ადგილზე ვიყავი.




გაგრძელება იქნება

# ოჯახის კაცი

## სპალეტიმ პიზარო თვითმფრინავში ჩასვა



**გადაწყდა** იტალიური ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე გადაუწყვეტელი ამბავი — დავიდ პიზარო „ინტერიდან“ „რომაში“ გადავიდა. იურიდიულად ფეხბურთელი ორივე გუნდისა იქნება, პრაქტიკულად კი „ჯალოროსის“ მაისურით ითამაშებს.

ზაფხულმა ყოყმანში ჩაიარა. ჩილელი ნახევარმცველი თავიდან აპირებდა „რომაში“ გადასვლას, მერე თავი შეიკავა — ამბობდნენ ხელფასი ეცოტავაო — ბოლოს „ინტერს“ მალიორკაზე გაჰყვა ამხანაგური თამაშისთვის, მაგრამ იქიდან „რომას“ მწვრთნელს ლუჩანო სპალეტის დაურეკა, რაღაც მოისმინა, რაღაც უთხრა, დაჯდა თვითმფრინავში და იტალიაში დაბრუნდა. ამრიგად, პიზარო სეზონში 2,2 მილიონ დოლარად მარადიულ ქალაქში ოთხ სეზონს გაატარებს, ხოლო მის ხელში ჩასაგდებად „რომამ“ „ინტერს“ 8,7 მილიონი ჩაუთვალა.

„ძნელია ასე ადვილად მიატოვო „ინტერის“ დონის გუნდი — განმარტა თავისი ყოყმანი ჩილელმა — რობერტო მანჩინი ჩემს შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ სენსების ოჯახმა ჩემს მიმართ ისეთი ინტერესი გამოამჟღავნეს, რომ მაინც წამოსვლა გადავწყვიტე“.

ბედის ირონიით პიზაროს დებიუტი ახალ გუნდში შესაძლოა სწორედ „ინტერის“ წინააღმდეგ და თან „სან სიროზე“ შედგეს — სწორედ აქ გაიმართება 26 აგვისტოს იტალიის სუპერთასის მატჩი.

„ვერ გეტყვით იმ დროისთვის მზად ვიქნები თუ არა, მაგრამ იქ ყოფნა რომ მინდა, ფაქტია. საერთოდ კი, ვფიქრობ, თუ „რომა“ გასულ სეზონში გამომჟღავნებულ გუნდურ სულს არც ამ სეზონში დაკარგავს, ის თავისუფლად შეძლებს სკუდეტოსთვის ბრძოლას“.

ლუჩანო სპალეტი: „იმისათვის, რომ „მილანის“ და „ინტერის“ დონეზე ვითამაშოთ ჩვენ ბევრი ახალი მოთამაშე დაგვჭირდება, რაც დიდ დანახარჯთან იქნება დაკავშირებული. პიზაროს დიდი დახმარება შეუძლია. მას სწორედ ის თვისებები აქვს, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს გუნდს“.

**პაპუნა ბედია**

# ჰასანის დასასრული




**სახელგანთქმულმა** ბოსნიელმა მობურთალმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. როგორც თავად 29 წლის მოთამაშე აცხადებს, ამის მიზეზი ხშირტრავმიანობაა. „ათი წელია, ნაკრებში ვთამაშობ და 10 ოპერაცია და უამრავი ტრავმა გადავიტანე. ექიმთან კონსულტაციის შემდეგ გადავწყვიტე ეროვნულ გუნდში გამოსვლაზე უარი ვთქვა“ — ამბობს ჰასან სალიჰამიჯიჩი.

ბოსნიელმა თავისი ქვეყნის ნაკრებში 41 შეხვედრა ჩატარა და 6 გოლი შეაგდო. ახლა სალიჰამიჯიჩი მთლიანად მიუნხენის „ბაიერნის“ თამაშებზე გადაერთვება.

**ლადო ხომერიკი**

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. I ტური

სპარტა — ვიტესი 1:2; დენ ჰააგი — ჰერენვენი 2:3; ტილბურგი — უტრეხტი 2:1; ექსელსიორი — როდა 0:1; ალკმაარი — ბრედა 8:1; აიაქსი — ვალვაიკი 5:0; გრონინგენი — ფეიენოორდი 3:0; პსვ — ნაიმეგენი 3:1; ჰერაკლესი — ტვენტე 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 1 | 1 | 0 | 0 | 8:1 | 3 |
| აიაქსი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| გრონინგენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ჰერაკლესი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| პსვ | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ჰერენვენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ტილბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ვიტესი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| როდა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დენ ჰააგი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| უტრეხტი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ექსელსიორი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ნაიმეგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ტვენტე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ფეიენოორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ვალვაიკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |
| ბრედა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:8 | 0 |

### II დივიზიონი. II ტური

კამბური — ვეენდამი 0:0; ემენი — აპელდორნი 3:2; ეინდჰოვენი — როზენდალი 2:2; ალმერე — დენ ბოსხი 1:4; ვოლენდამი — გრააფსხაპი 2:1; ზვოლე — დოორდრეხტი 1:1; იგლსი — სიტარდი 3:1; მაასტრიხტი — ვენლო 0:0; ტელსტარი — ჰელმონდი 2:1; ოსი — ჰაარლემი 1:6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დენ ბოსხი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| იგლსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ჰაარლემი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 |
| დოორდრეხტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| როზენდალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ემენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ვოლენდამი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| აპელდორნი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| ტელსტარი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ეინდჰოვენი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ვენლო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მაასტრიხტი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ზვოლე | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ვეენდამი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჰელმონდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კამბური | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| სიტარდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| გრააფსხაპი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ალმერე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |
| ოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |

## ბელგია

### I დივიზიონი. III ტური

გენკი — სტანდარდი 1:1; შარლერუა — სერკლი 2:1; ბრიუგე — ბევერენი 2:0; ბრიუსელი — სენტ ტრუიდენი 2:2; ბეერსხოტი — მონსი 2:1; მუსკრონი — რუზელარე 2:2; ვარეგემი — ლიერსი 2:1; ვესტერლო — ანდერლეხტი 3:4; ლოკერენი — გენტი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:5 | 9 |
| გენკი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| მუსკრონი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ბრიუსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| შარლერუა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ბრიუგე | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| ვესტერლო | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| ბეერსხოტი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ლოკერენი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| რუზელარე | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| მონსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ვარეგემი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| სტანდარდი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| სერკლი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| სენტ ტრუიდენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| ლიერსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| გენტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:9 | 1 |
| ბევერენი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. VI ტური

თუნი — სენტ გალენი ; ლუცერნი — შაფჰაუზენი 1:1; ციურიხი — გრასჰოპერი 2:1; აარაუ — იანგ ბოისი 0:1; სიონი — ბაზელი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 15 |
| სიონი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:7 | 13 |
| გრასჰოპერი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:5 | 11 |
| იანგ ბოისი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:7 | 11 |
| სენტ გალენი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:8 | 8 |
| ბაზელი | 6 | 2 | 1 | 3 | 14:12 | 7 |
| თუნი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:9 | 5 |
| ლუცერნი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:13 | 4 |
| აარაუ | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| შაფჰაუზენი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:9 | 2 |

### ჩელენჯლიგა. V ტური

იუვენტუსი — კონკორდია 0:2; ვადუცი — ლოკარნო 2:2; ვილი — კიასო 0:5; ვოლენი — ბოლმი 2:2; ბელინცონა — ვინტერთური 1:1; შო დე ფონი — კრინსი 3:0; ლუგანო — ივერდონი 1:1; სერვეტი — ლოზანა 4:3; დელემონი — ქსამაქსი 2:3

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XVI ტური

კტპ — მიუპა 0:1; ლაჰტი — მარიეჰამნი 3:0; ჰონკა — ჰაკა 0:2; ინტერი — იარო 2:2; ტამპერე — ვაასა 2:3. ტურკუ — კუოპიო დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 16 | 10 | 3 | 3 | 23:10 | 33 |
| ჰონკა | 17 | 10 | 2 | 5 | 38:23 | 32 |
| ტამპერე | 16 | 10 | 2 | 4 | 24:15 | 32 |
| ჰიკ | 16 | 9 | 3 | 4 | 28:11 | 30 |
| ტურკუ | 16 | 7 | 3 | 6 | 25:20 | 24 |
| მიუპა | 15 | 6 | 4 | 5 | 14:12 | 22 |
| მარიეჰამნი | 17 | 6 | 4 | 7 | 19:19 | 22 |
| ვაასა | 17 | 6 | 4 | 7 | 21:24 | 22 |
| ლაჰტი | 17 | 6 | 3 | 8 | 15:20 | 21 |
| კტპ | 16 | 5 | 2 | 9 | 15:31 | 17 |
| იარო | 16 | 3 | 5 | 8 | 20:26 | 14 |
| ინტერი | 14 | 3 | 4 | 7 | 11:24 | 13 |
| კუოპიო | 15 | 2 | 3 | 10 | 9:27 | 9 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XV ტური

იურგორდენი — კალმარი 0:1; ჰეკენი — მალმიო 1:3. *გეფლე — აიკ; იორგრიტე — გაის; იოსტერსი — გიოტებორგი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 14 | 9 | 2 | 3 | 25:15 | 29 |
| აიკ | 14 | 8 | 4 | 2 | 26:14 | 28 |
| ელფსბორგი | 14 | 7 | 6 | 1 | 25:13 | 27 |
| გიოტებორგი | 14 | 7 | 4 | 3 | 22:13 | 25 |
| მალმიო | 15 | 7 | 4 | 4 | 25:19 | 25 |
| იურგორდენი | 15 | 6 | 6 | 3 | 18:13 | 24 |
| კალმარი | 15 | 6 | 2 | 7 | 19:17 | 20 |
| გეფლე | 14 | 5 | 3 | 6 | 14:21 | 18 |
| გაის | 14 | 4 | 5 | 5 | 15:19 | 17 |
| ჰელსინგბორგი | 14 | 3 | 6 | 5 | 18:20 | 15 |
| ჰალმსტადი | 14 | 3 | 5 | 6 | 9:15 | 14 |
| ჰეკენი | 15 | 2 | 5 | 8 | 15:25 | 11 |
| იოსტერსი | 14 | 2 | 3 | 9 | 9:25 | 9 |
| იორგრიტე | 14 | 1 | 5 | 8 | 12:23 | 8 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. IV ტური

იაბლონეცი — ბოლესლავი 0:2; სპარტა — პრჟიბრამი 2:1; სიგმა — ლიბერეცი 0:1; კლადნო — ზლინი 0:0; მოსტი — ბუდეიოვიცე 1:2; პლზენი — ტეპლიცე 2:0; ბრნო — სლავია 1:0. სლოვაცკო — ბანიკი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 4 | 4 | 0 | 0 | 7:0 | 12 |
| ბოლესლავი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| სპარტა | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| ბრნო | 4 | 2 | 2 | 0 | 2:0 | 8 |
| სლავია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| პლზენი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| პრჟიბრამი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| იაბლონეცი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ზლინი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ტეპლიცე | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| სლოვაცკო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ბანიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| მოსტი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | 2 |
| კლადნო | 4 | 0 | 2 | 2 | 0:2 | 2 |
| სიგმა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |

## პორტუგალია

### სუპერთასი

პორტუ 3:0 სეტუბალი

## საბერძნეთი

### I დივიზიონი. I ტური

ოლიმპიაკოსი — ქსანთი 2:1; აეკ — პაოკ 0:0; ატრომიტოსი — ოფი 2:2; ეგალეო — პანათინაიკოსი 1:4; ერგოტელისი — იონიკოსი 2:1; კერკირა — კალამარია 2:1; ირაკლისი — პანიონიოსი 0:0; ლარისა — არისი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ერგოტელისი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| კერკირა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ატრომიტოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ოფი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლარისა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| არისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პაოკ | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| აეკ | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პანიონიოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ირაკლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| კალამარია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ქსანთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| იონიკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ეგალეო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

## პოლონეთი

### I ლიგა. IV ტური

გურნიკი — ვიძევი 0:0; არკა — ლეჩნა 0:1; ბელხატოვი — ოდრა 5:1; გროცლინი — ზაგლებე 0:0; ლეხი — კრაკოვია 3:4; პლოცკი — პოგონი 2:1; ლკს — ლეგია 2:1; ვისლა — კორონა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:3 | 12 |
| ვისლა | 4 | 3 | 1 | 0 | 5:0 | 10 |
| ლკს | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| ვიძევი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| კრაკოვია | 4 | 2 | 0 | 2 | 9:10 | 6 |
| კორონა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ლეხი | 4 | 1 | 2 | 1 | 8:8 | 5 |
| ზაგლებე | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ლეგია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| პლოცკი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| პოგონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| გურნიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ლეჩნა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ოდრა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | 4 |
| გროცლინი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| არკა | 4 | 0 | 2 | 2 | 0:4 | 2 |

## სლოვენია

### I ლიგა. IV ტური

პტუი — ნაფტა 3:0; ნოვა გორიცა — ფაქტორი 5:0; დომჟალე — მარიბორი 3:1; პუბლიკუმი — კოპერი 1:1; ბელაკრაინა — პრიმორიე 2:2

## სლოვაკეთი

### I ლიგა. V ტური

კოშიცე — რუჟომბეროკი 0:1; სენეცი — ბანსკა ბისტრიცა 2:2; ნიტრა — ინტერი 0:0; სლოვანი — დუბნიცა 1:3; ტრენჩინი — ტრნავა 0:0; პეტრჟავკა — ჟილინა 3:2

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. VI ტური

რაპიდი — გრაცერი 1:4; ტიროლი — პაშინგი 0:0; რიდი — ალტახი 1:2; შტურმი — აუსტრია 1:0; ზალცბურგი — მატერსბურგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:3 | 14 |
| ტიროლი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:3 | 11 |
| მატერსბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | 10 |
| შტურმი | 6 | 3 | 0 | 3 | 10:12 | 9 |
| პაშინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| რაპიდი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| გრაცერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| ალტახი | 6 | 2 | 0 | 4 | 10:11 | 6 |
| აუსტრია | 6 | 0 | 4 | 2 | 2:5 | 4 |
| რიდი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:7 | 4 |

### I დივიზიონი. IV ტური

აუსტრია (ლ) — აუსტრია (მ) 2:0; ჰარტბერგი — გრატკორნი 0:0; კერნტენი — ადმირა 3:0; ლეობენი — ლინცერი 1:1; პარნდორფი — კაფენბერგი 3:1; შვანენშტადტი — ლუსტენაუ 2:2

## დანია

### სასლიგა. VI ტური

ვაილე — კოპენჰაგენი 0:4; ოლბორგი — რანდერსი 2:1; ესბიერგი — მიდტიულანდი 4:2; ოდენსე — ნორდსიელანდი 2:1; სილკებორგი — ჰორსენსი 0:2; ბრონდბიუ — ვიბორგი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 6 | 5 | 0 | 1 | 13:4 | 15 |
| ბრონდბიუ | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| კოპენჰაგენი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:3 | 13 |
| ნორდსიელანდი | 6 | 4 | 0 | 2 | 14:7 | 12 |
| მიდტიულანდი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| ესბიერგი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:11 | 10 |
| ოდენსე | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 9 |
| ჰორსენსი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| რანდერსი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:9 | 5 |
| სილკებორგი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:13 | 3 |
| ვიბორგი | 6 | 0 | 1 | 5 | 6:15 | 1 |
| ვაილე | 6 | 0 | 0 | 6 | 4:19 | 0 |

### I დივიზიონი. IV ტური

ბრაბანდი — ფრემი 1:1; ფრემადი — ჰელერუპი 2:1; კოლდინგი — ლიუნგბიუ 2:3; ტისტედი — არჰუსი 2:2; ფრედერისია — აკადემისკი 2:1; კიოგე — იოსტიკე 2:1; ნესტვედი — ჰერფიოლგე 0:1; სიონდერისკე — ორჰუსი 2:0

## ნორვეგია

### I დივიზიონი. XIX ტური

ალესუნდი — მოსი 2:0; ბოდიო გლიმტი — ჰიონეფოსი 2:1; ჰაუგესუნდი — სოგნდალი 2:0; კონგსვინგერი — ჰიოდი 0:1; ჰორის გრენლანდი — ლიოვ ჰამი 2:0; სტრომსგოდსეტი — ოსლო იოსტი 2:1; ტრომსდალენი — სპარტა 3:0

### თასი

ვალერენგა 0:3 ფრედრიგშტადი

სტარტი 3:2დ.დ.(2:2) ლილესტრიომი

ფოლო 0:1 სანდეფიორდი

ვიკინგი 1:3 რუსენბორგი

## თურქეთი

### სუპერლიგა. IV ტური

ანკარა — ერჟიესი 2:2; მანისა — გალათასარაი 2:2; ფენერბაჰჩე — რიზე 2:1; ბურსა — გენჩლერი 0:0; გაზიანთეფი — ტრაბზონი 2:1; ქაისერი — ანკარაგიუჯიუ 2:1; ქონია — ანთალია 0:0; სივა — საქარია 0:2; დენიზლი — ბეშიქთაში 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| ბეშიქთაში | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ქაისერი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:5 | 6 |
| გალათასარაი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:3 | 5 |
| საქარია | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| მანისა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ქონია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| გაზიანთეფი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| გენჩლერი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ერჟიესი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:9 | 4 |
| ანკარა | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| ანთალია | 3 | 0 | 3 | 0 | 0:0 | 3 |
| ანკარაგიუჯიუ | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| რიზე | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ბურსა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ტრაბზონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| სივა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| დენიზლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XVIII ტური.

ფუკუოკა — კიოტო 4:5; ოსაკა — იოკოჰამა 2:0; ნაგოია — ივატა 3:1; ნიიგატა — კავასაკი 2:1; კაშიმა — ურავა 2:2; ომია — გამბა 0:2; შიმიცუ — კოფუ 4:0; ჰიროშიმა — ოიტა 0:1; იჩიჰარა — ტოკიო 3:4

## ხორვატია

### ნაციონალლიგა. IV ტური

სლავენი — რიეკა 3:2; დინამო — მედიმურიე 4:1; შიბენიკი — პულა 1:0; ოსიეკი — ციბალია 3:1; ვარტექსი — კამენი 3:0; ჰაიდუკი — ზაგრები 2:0

## ირლანდია

### პრემიერდივიზიონი XXI ტური

ბოჰემიანსი — შელბურნი 2:1; კორკი — დერი 1:1; სლიგო — ბრეი 2:0; სენტ პატრიკსი — ლონგფორდი 0:0; უოტერფორდი — დროჰედა 2:3

## სერბეთი

### პრვა ლიგა. III ტური

ბორაცი — ოფკ 0:0; ჰაიდუკი — მლადოსტი 0:2; სარტიდი — ვოზდოვაცი 3:1; პარტიზანი — ბუდუჩნოსტი 2:0; ბეჰანია — ვოივოდინა 0:0; ზემუნი — ცრვენა ზვეზდა გადაიდო




# სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

# წარმოგიდგენთ

**გერმანია**
**II ბუნდესლიგა**
**21 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 109 | კარლსრუე-კაიზერსლაუტერნი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |

**შვეიცარია**
**სუპერლიგა**
**21 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 149 | თუნი-სტ.გალენი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |

**ესპანეთი**
**I დივიზიონი**
**27 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 151 | ბილბაო-სოსიედადი | 2.00 | 3.20 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| 20:00 | 152 | სელტა-ბარსელონა | 4.70 | 3.40 | 1.70 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| 20:00 | 153 | ესპანიოლი-ტარაგონა | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 20:00 | 154 | დეპორტივო-სარაგოსა | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 20:00 | 155 | ოსასუნა-ხეტაფე | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 20:00 | 156 | რეალი-ვილიარეალი | 1.50 | 3.50 | 6.80 | 1.04 | 1.22 | 2.31 |
| 20:00 | 157 | უელვა-მალიორკა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 20:00 | 158 | რასინგი-ატლეტიკო | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 20:00 | 159 | სევილია-ლევანტე | 1.50 | 3.50 | 6.80 | 1.04 | 1.22 | 2.31 |
| 20:00 | 160 | ვალენსია-ბეტისი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |

**ჰოლანდია**
**II დივიზიონი**
**21 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 219 | გრააფსხაპი-ჰაარლემი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 22:00 | 220 | დენ ბოსხი-ვეენდამი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 22:00 | 221 | დორდრეხტი-მაასტრიხტი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:00 | 222 | ემენი-ოსი | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| 22:00 | 223 | სიტარდი-ეინდჰოვენი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 22:00 | 224 | ჰელმონდი-კამბური | 1.55 | 3.50 | 5.10 | 1.07 | 1.18 | 2.07 |
| 22:00 | 225 | როზენდალი-ვოლენდამი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:00 | 226 | ტელსტარი-აპელდორნი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 22:00 | 227 | ვენლო-იგლსი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 22:00 | 228 | ზვოლე-ალმერე | 1.35 | 4.00 | 7.30 | 1.00 | 1.13 | 2.58 |

**ნორვეგია**
**ტიპელიგა**
**23 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 323 | ლინი-ლილესტრიომი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 324 | ბრანი-მოლდე | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 20:00 | 325 | ფრედრიკსტადი-სტარტი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 20:00 | 326 | ლინი-სანდეფიორდი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 20:00 | 327 | ოდ გრენლანდი-ტრომსიო | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 20:00 | 328 | ვიკინგი-ვოლერენგა | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:00 | 329 | ლილესტრიომი-ჰამარი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 330 | რუსენბორგი-სტაბეკი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |

**შვედეთი**
**ალსვენსკა**
**21 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 340 | გეფლე-აიკ | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| 21:00 | 341 | იორგრიტე-გაის | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 21:00 | 342 | იოსტერსი-გიოტებორგი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 343 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 22:00 | 344 | ჰელსინგბორგი-ჰამარბი | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |

**ფინეთი**
**21 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 367 | ტურკუ-კუოპიო | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |

**ინგლისი**
**თასი**
**21 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 497 | აკრინგტონი-ნოტინგემი | 3.75 | 3.20 | 1.90 | 1.72 | 1.26 | 1.19 |
| | | **22 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 498 | ბირმინგემი-შრიუსბერი | 1.27 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.12 | 3.05 |
| 22:45 | 499 | ბლექპული-ბარნსლი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 22:45 | 500 | ბორნმუთი-საუთენდი | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 22:45 | 501 | ბრაიტონი-ბოსტონი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:45 | 502 | როვერსი-ლუტონი | 3.75 | 3.30 | 1.85 | 1.75 | 1.23 | 1.18 |
| 22:45 | 503 | ბარნლი-ჰარტპული | 1.40 | 3.70 | 6.70 | 1.01 | 1.15 | 2.38 |
| 22:45 | 504 | ბერი-სანდერლენდი | 5.40 | 3.30 | 1.60 | 2.04 | 1.23 | 1.07 |
| 22:45 | 505 | კარდიფი-ბარნეტი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 22:45 | 506 | კარლაილი-ბრედფორდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 507 | ჩელტენემი-ბრისტოლი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 22:30 | 508 | ჩესტერფილდი-ვულვერჰემპტონი | 3.20 | 3.40 | 1.90 | 1.64 | 1.19 | 1.21 |
| 23:00 | 509 | კრისტალ პალასი-ნოტსი | 1.33 | 4.40 | 6.50 | 1.02 | 1.10 | 2.62 |
| 22:45 | 510 | დონკასტერი-როჩდეილი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 22:45 | 511 | გრიმსბი-ქრიუ | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| 22:45 | 512 | ჰერეფორდი-ქოვენთრი | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| 22:45 | 513 | ჰადერსფილდი-მენსფილდი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 22:45 | 514 | ჰალი-ტრანმერე | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:45 | 515 | ლიდსი-ჩესტერი | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 22:45 | 516 | ლესტერი-მაკსფილდი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |
| 22:45 | 517 | მილუოლი-ჯილინგემი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 22:45 | 518 | დონსი-კოლჩესტერი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 22:45 | 519 | პიტერბორო-იფსვიჩი | 3.10 | 3.30 | 2.10 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 22:45 | 520 | პლიმუთი-უოლსოლი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 22:45 | 521 | პორტ ვეილი-პრესტონი | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |
| 22:45 | 522 | ქპრ-ნორთჰემპტონი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:45 | 523 | როტერჰემი-ოლდემი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:45 | 524 | სკანთორპი-ლინკოლნი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 22:45 | 525 | უენსდი-რექსემი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 22:45 | 526 | საუთჰემპტონი-იოვილი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 22:45 | 527 | სტოკპორტი-დერბი | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| 22:45 | 528 | სტოკი-დარლინგტონი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 22:45 | 529 | სუონსი-უიკომბი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:45 | 530 | სუინდონი-ბრენტფორდი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 531 | ტორკი-ნორთვიჩი | 4.70 | 3.50 | 1.60 | 2.00 | 1.19 | 1.09 |
| 22:45 | 532 | ლეიტონი-ვესტ ბრომვიჩი | 4.20 | 3.40 | 1.65 | 1.87 | 1.18 | 1.11 |

**უეფა**
**სუპერ თასი**
**25 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 551 | ბარსელონა-სევილია | 1.80 | 3.10 | 4.40 | 1.13 | 1.27 | 1.81 |

Panon Audi Cup. უნგრეთი. სომბათჰეი. 18-20 აგვისტო

# წაგება-მოგება ჯერ ძმები არიან

## ნაკრების ძალა სექტემბერში გამოჩნდება

19 აგვისტო
**საქართველო 74:57 მაკედონია**
*15:19 15:15 23:9 21:14*

**საქართველო:** ელისი (19), ა. ბოისა, მარკოიშვილი (3), ბ. ბოისა (10), ფაჩულია (15); ნაცვლიშვილი (13), ცინცაძე (8), სანიკიძე (5), გამყრელიძე (1), ტულუში, უგრეხელიძე
**მაკედონია:** ვ. სტეფანოვი (14), სტოიანოვსკი (2), ჩეკოვსკი (8), კურტოვიჩი (4), სტეკი (10), გიაუროვი (7), სიმიჩი (7), რ. სტეფანოვი, ტასოვსკი (2), ანტიჩი, დიმიტროვსკი (3)

20 აგვისტო
**უნგრეთი 79:73 საქართველო**
*24:10 21:16 10:27 24:20*

**უნგრეთი:** შიმონი (13), ა. ხორვატი (10), ლორანტი (9), ბადერი (10), ნემეტი (10), გულიაში (10), მ. თოდორი (5), ბენცე (3), კალმანი (7), დ. თოდორი (3), ჟ. ხორვატი
**საქართველო:** ელისი (17), მარკოიშვილი (7), ვ. ბოისა (13), სანიკიძე (4), ფაჩულია (32 ქულა, 11 მოხსნა), გამყრელიძე, ა. ბოისა, ცინცაძე, ტულუში, უგრეხელიძე, ნაცვლიშვილი


ზაზა ფაჩულიამ რაიან სტაჯი უნგრეთშიც არ გააჩარა

**საქართველოს** ეროვნულმა ნაკრებმა უნგრული სომბათჰეის „პანონ აუდი ქაფ"-ად წოდებულ საერთაშორისო ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენებმა მხოლოდ მაკედონია ჩამოტოვეს, წინ კი მასპინძელი უნგრები და ესტონელები გაუშვეს.

პარასკევს ბალტიელებთან 4-ქულიანი მარცხის შემდეგ ქართველები ამ უქმეებზე ჯერ მაკედონიას ეთამაშნენ და მერე უნგრელებს ყოფილ იუგოსლაველების გორდონ ჰერბერტის გუნდმა კუდით ქვა ასროლინა, აი, მასპინძლებთან კი მართლაც სასწაულად შემოტრიალებული თამაშის მოგება ვერ მოახერხა.

მაკედონია იყო, საქართველო შარშან B დივიზიონში რომ ჩატოვა და ახლა კონტინენტის ელიტარულ ნაკრებთა მარაქაში იწონებს თავს — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. ჩვენ კი ჯერ შორი გზა გვაქვს გასავლელი, სანამ იქამდე მივალთ, თუმც მაკედონიელებზე შურისძიება ქართველებმა უნგრეთში მაინც მოახერხეს.

გორდონ ჰერბერტმა მაკედონიასთან მატჩი ამ ხუთეულით დაიწყო: ტაირონ ელისი, მანუჩარ მარკოიშვილი, ანატოლი ბოისა, ვლადიმერ ბოისა, ზაზა ფაჩულია. ქართველებმა თავიდან თამაში ვერ ააწყვეს და როგორც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენმდივანი მერაბ რატიშვილი გვატყობინებს, მესამე მეოთხედამდე მაკედონიელებს ულხინდათ.

ტაიმის 4 ქულით წაგების შემდეგ ჩვენები ერთიანად ათამაშდნენ და მეტოქეს ხელი ლამის მესამე ათწუთეულშივე მოუთავეს. ფაჩულიამ, ნაცვლიშვილმა და განსაკუთრებით ტაირონ ელისმა, მთლად მოახრეს მაკედონიელთა დაცვა — საქართველომ მესამე მეოთხედი 23:9 მოიგო.

ბოლო ათწუთეულში ჩვენიანთა უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია და მეტოქეც საბოლოოდ გატყდა. სხვათა შორის, მაკედონია ოპტიმალური შემადგენლობით თამაშობდა, თუ არ ჩავთვლით ხუთეულელ ტოდორ გეჩევსკის არყოფნას.

შაბათის ტურში ესტონეთმა მასპინძელი უნგრეთი დაამარცხა და ბალტიელებმა პირველი ადგილი გაინაღდეს, საქართველო კი კვირას მასპინძლებს უფრო მზადების მიზნით ეთამაშა, ვიდრე სატურნიროთი.

მაშ ასე, გუშინ მადიარული დროით დილის 11 საათზე საქართველო უნგრეთს ეთამაშა და მეტოქეს იმხელა ჩამორჩენა გაუბათილა, ქართველებს რომ არ სჩვევიათ, მაგრამ...

„ჩვენებმა საშინლად დაიწყეს უნგრელებთან მატჩი. ჯერ 4:14 ვაგებდით, მერე 10:24, თამაშის მე-15 წუთზე მასპინძელთა უპირატესობა სულაც 21 ქულამდე ავიდა — გვამცნობს მერაბ რატიშვილი სომბათჰეიდან — პირველი ტაიმის შემდეგ 19 ქულას ვაგებდით და მესამე მეოთხედშივე მოვახერხეთ დაწინაურება. ჰერბერტმა შესვენების შემდეგ ეს მოთამაშეები გამოყვანა: ტულუში, მარკოიშვილი, ელისი, ვლადიმერ ბოისა და ფაჩულია. ელისმა 2 ძალიან საჭირო სამქულიანი ჩააგდო, ფაჩულიამ ფარქვეშეთი დაიპყრო და მესამე მეოთხედის ბოლოს 53:50 დავწინაურდით".

საქართველომ წუთიანი მონაკვეთი 22 ქულით მოუგო მასპინძლებს და მეოთხედთაშორის შესვენებას რომ არ მოესწრო, უნგრელები ალბათ კიდევ უფრო გაითელებოდნენ.

ბოლო ათწუთეულში [illegible] ნაბარი ბრძოლა გაჩაღდა, ხან ერთ მავანი იგებდა მცირედით, ხანაც მეორე. ბოლოს ფორტუნამ უნგრელებს გაუღიმა, რომლებიც სირენამდე წუთნახევრით ადრე 3 ქულას იგებდნენ და შეტევაში წაფორხილებული ქართველები სწრაფი კონტრშეტევით დასაჯეს. თამაშის ბედიც აქ გადაწყდა. უნგრელები 5 ქულით დაწინაურდნენ და დარჩენილ დროში ეს უპირატესობა იოლად შეინარჩუნეს.

საქართველოს ნაკრების გაწვრთნასთან ერთად გორდონ ჰერბერტი ავსტრიულ ობერვარტშიც ასწრებდა ჩასვლას, სადაც ჩვენი საკვალიფიკაციო მეტოქე ავსტრია ასევე ოთხთა ტურნირში იყო ჩაბმული. ჰერბერტი ორჯერ ჩავიდა ობერვარტში და ავსტრიელთა სლოვაკეთთან და პორტუგალიასთან გამართული სპარინგ-მატჩები დაზვერა. ქართველებს უნგრეთში ერთი ქომაგი ჰყავდათ ტრიბუნაზე, მაგრამ როგორც რატიშვილმა გვამცნო, ასს უდრიდა. საქართველოს ელჩი მადიართა ქვეყანაში, კოტე ჟღენტი ჩვენიანთა ყველა მატჩს დაესწრო და ნაღდ ფანს რომ სჩვევია, ისეთი რიხით უქომაგა ხუთჯვაროსნებს.

ქარველები სომბათჰეიდან დღეს დილას აიბარგებენ და რუმინეთის გზას ავტობუსით დაადგებიან. 22 აგვისტოს ჰერბერტის გუნდი ვლახებს გაეჯიბრებიან ამხანაგურად და 24-ში ქალაქ ორდეაში რომელილაც რუმინელი კალათბურთელის ხსოვნის ტურნირიც დაიწყება. საქართველოს და რუმინეთის ნაკრებებთან ერთად ამ ტურნირში უნგრული „დებრეცენი" და სერბული „ნიში" მიიღებენ მონაწილეობას.

**ირაკლი პერტაია**

# ახლა უფროსების ჯერია

## თქვენზე ნაკლებისაო: ჭაბუკები ახალგაზრდების გზას დაადგნენ

**საქართველო 71:65 ავსტრია**
*19:9 14:22 16:16 22:18*

**საქართველო:** თავართქილაძე (5), ნანიკაშვილი (8), ჩაჩიბაია (7), მეტრეველი (18 ქულა, 14 მოხსნა), შენგელია (15); მაისურაძე (10), ბარბაქაძე (8)

**B დივიზიონიდან** A-ში ასანაცვლებელი გზა კადეტებმაც განვლეს. ახალგაზრდული ნაკრების ელიტაში აღზევებიდან ერთი თვეც არ გასულა და ახლა 16-წლამდელებმა მოიპოვეს A დივიზიონის საგზური. გუშინ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდმა ტალინში მიმდინარე ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე ნახევარფინალური ჯახი მოუგო ავსტრიელებს და ევროპის სუსტი გუნდების მარაქას თავი დააღწია. მომავალ წელს ქართველი კადეტები კონტინენტის მოწინავე გუნდებთან ითამაშებენ ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

ჩერქეზიშვილის გუნდმა ავსტრიის დამარცხება ტალინური ტურნირის პირველ ჯგუფურ ეტაპზეც შეძლო, მაგრამ მაშინ ამის გაკეთება შედარებით გაუძნელდა — საქართველომ ბოლო წამზე ჩაგდებული ბურთის წყალობით ქულით იმარჯვა. არც გუშინ მოსულა გამარჯვება იოლად, მაგრამ საქმე ბოლო წამებამდე აღარ მიუყვანიათ ჩვენებს.

კადეტები კარგად მომზადებულნი ჩავიდნენ ესტონეთში და, ახალგაზრდული ნაკრების მსგავსად, ტურნირის გზადაგზა შეთამაშება არ დასჭირვებიათ. ორმაგად სასიხარულო კი ისაა, რომ ჩერქეზიშვილის გუნდს წინსვლის პროცესი ესტონეთშიც არ შეუნელებია და როგორც დაიწყო ტურნირი, იმაზე მეტი შემართებით ასრულებს.

არადა, ჩვენებს აკლდათ ალეკო ძიძიგური და გიორგი ჯგერენაია, რომლებმაც ტრავმების გამო ვერ ითამაშეს. ძიძიგური ხუთეულის უცვლელი წევრი გახლავთ და დაცვაში ქართველთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამის მიუხედავად, ჩერქეზიშვილის გუნდმა მაინც მოახერხა თამაშის თავისი კარნახით წარმართვა და ადრიანი ლიდერობა რომ მოიპოვა, აუღელვებლად, უფრო ლაღად ირჯებოდა.

ავსტრიელები მეტად შეუპოვარი მებრძოლები გამოდგნენ. ისინი არაერთხელ დაუძვრნენ ქართველებს რთული სიტუაციიდან. ჯერ იყო და, პირველი მეოთხედის 10 ქულით წაგების შემდეგ თამაში გაათანაბრეს, დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ტაიმი 2 ქულით დათმეს. მესამე ათწუთეულის შემდეგაც 2-ით აგებდნენ და თამაში რომ განახლდა, კინაღამ სასწაული გამოაცხვეს. გადამწყვეტი მეოთხედი და ქართველების აზვირთება ერთდროულად დაიწყო. ლევან შენგელიამ და დავით მაისურაძემ მიჯრით ყარეს ბურთები ავსტრიელთა კალათში და სირენამდე 8 წუთით ადრე საქართველომ სერიოზული უპირატესობა დაიბევა — 58:49.

ამხელა ჰანდიკაპი ასეთ თანაბარ თამაშში თითქმის გამარჯვებას ნიშნავს, მაგრამ ავსტრიელებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და 5 წუთში ანგარიში გაათანაბრეს. თავი გამოიჩინა რაშიდ მაჰალბაშიჩმა, რომელმაც ერთ ეპიზოდში გაიბრწყინა და ავსტრიელებს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა.


ქართველ კადეტთა ერთ-ერთი ლიდერი ვაჟა კანდელაკი

ამხელა უპირატესობის განივაებას ჩერქეზიშვილის გუნდზე უარყოფითად არ უმოქმედია. ჩვენებმა ძალა და ნებისყოფა მოიკრიბეს და თამაშის ბედიც მალევე სათავისოდ გადაწყვიტეს. ლევან შენგელიას ორქულიანს გიგი ბარბაქაძემ სამიანიც მიაყოლა და ქართველებიც 66:61 დაწინაურდნენ დასრულებამდე 100 წამით ადრე.

დარჩენილ დროში ვითარება აღარ დაძაბულა. მატჩის ბომბარდირმა ვაჟა მეტრეველმა ავსტრიელებს გაბრძოლების საშუალებაც მოუსპო, ისე ყოჩაღად ითამაშა დაცვაში და თავი შეტევაშიც არ შეურცხვენია.

მაშ ასე, ახალგაზრდების კვალზე კადეტებმაც მოიპოვეს A დივიზიონის საგზური. ახლა ჯერი ეროვნულ გუნდზეა, რომელსაც, სხვათა შორის, ჯგუფში ავსტრია და ფინეთი ჰყავს.

**ირაკლი პერტაია**

**ფინალი**
**ჩეხეთი 67:54 საქართველო**

მსოფლიოს ჩემპიონატი 2006. იაპონია. 19 აგვისტო - 3 სექტემბერი

# ნიგერიამ სერბეთი ჩამოაჩემპიონა



AFP სურათები

საფრანგეთი — სერბეთი: ფლორენ პიეტრუსის და ვულე ავდალოვიჩის ჰორიზონტალური შეჯახება

### A ჯგუფი

19 აგვისტო

**არგენტინა 80:70 საფრანგეთი**

**არგენტინა:** ჯინობილი (25 ქულა, 6 ჩაჭრა), ნოჩიონი (18), ვოლკოვისკი (12)

**საფრანგეთი:** ფ. პიეტრუსი (15), დიაუ (13), გელაბალე (11)

**ნიგერია 82:75 სერბეთი**

**ნიგერია:** უდოკა (18), ერე (15)

**სერბეთი:** რაკოჩევიჩი (20)

**ლიბანი 82:72 ვენესუელა**

**ლიბანი:** ელ ხატიბი (35), ვოგელი (26)

**ვენესუელა:** აგილერა (18 ქულა, 10 მოხსნა), ლუგო (16 ქულა, 13 მოხსნა), ტორესი (12)

20 აგვისტო

**ვენესუელა 84:77 ნიგერია**

**ვენესუელა:** დიასი (24), ტორესი (14), მარიაგა (14), ლუგო (13 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიგერია:** უოკდა (23), ერე (13)

**არგენტინა 107:72 ლიბანი**

**არგენტინა:** ჰერმანი (23), სკოლა (18), დელფინო (14), ობერტო (12)

**ლიბანი:** ფაედი (18), ელ ხატიბი (10)

**საფრანგეთი 65:61 სერბეთი**

**საფრანგეთი:** დიაუ (20), ვეისი (11)

**სერბეთი:** რაკოჩევიჩი (22), მილიჩიჩი (14)

**მსოფლიოს** ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, რომ სენსაციაც გამოცხვა, თან როგორი? მსოფლიოს ჩემპიონ სერბეთს წლეულს ჩემპიონობის ბევრი რომ არაფერი სცხია, მუნდიალის დაწყებამდე ვამბობდით, მაგრამ აფრიკის მესამე გუნდ ნიგერიასთან თუ წააგებდა, ამას ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. ერთადერთი, ვისაც წაგებულებში რაღაც გამოსდიოდა, ძველი გუნდიდან დარჩენილი მოთამაშე იგორ რაკოჩევიჩია, სხვებმა კი ნიგერიელებს 10 ქულაც ვერ ჩაუგდეს. იმ ყბადაღებულმა დარკო მილიჩიჩმა 31 წუთში თამაშიდან 11-ჯერ ესროლა და 9 ააცილა, სულ კი 5 ქულა დაუგროვდა. მათი თავკაცი დრაგან საკოტა ჩიოდა, მოხსნებში ვერ ვყოჩაღობთ და ყველაზე მეტად ეს მაწუხებსო, თუმცა ნიგერიასთან სერბებს თუ რამ გამოსდიოდათ, პირველ რიგში მოხსნები და 37:27 იძალეს ფარზე, მაგრამ, სამაგიეროდ, პასებში 22:29 ჩამორჩნენ აფრიკელებს, რომლებიც უყოჩაღესად ათამაშებდნენ ბურთს და პერიმეტრიდან ბომბავდნენ ბალკანელებს — 16 სამქულიანიდან 8 ჩაუგდეს.

ვიცე-ჩემპიონმა არგენტინამ კი პირიქით, გადასარევად დაიწყო მუნდიალი, საფრანგეთი 10-ქულიანი სხვაობით დასცა, ამას ლიბანთან 35-ქულიანი გამარჯვება მოაყოლა და ერთიანად გაფანტა ის ნაცრისფერი ნისლი, რომელიც იაპონიაში ჩასვლამდე მოახვია მათი სპარინგ-თამაშებით უკმაყოფილო ხალხმა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 0 | +45 | 4 |
| ნიგერია | 1 | 1 | 0 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | -6 | 3 |
| ლიბანი | 1 | 1 | -25 | 3 |
| ვენესუელა | 1 | 1 | -3 | 3 |
| სერბეთი | 0 | 2 | -11 | 2 |

### B ჯგუფი

19 აგვისტო

**ესპანეთი 86:70 ახალი ზელანდია**

**ესპანეთი:** ა. გასოლი (16), ნავარო (16), გარბახოსა (16), მ. გასოლი (12)

**ახალი ზელანდია:** პენი (15), ბრედშოუ (12), ჰინარი (11)

**ანგოლა 83:70 პანამა**

**ანგოლა:** ალმეიდა (22), ლუტონდა (17), ჩიპრიანო (17)

**პანამა:** დუგლასი (17), გარკესი (16), ჰიკსი (14)

**გერმანია 81:70 იაპონია**

**გერმანია:** ნოვიცკი (27 ქულა, 10 მოხსნა), ოკულაია (11 ქულა, 12 მოხსნა)

**იაპონია:** იგარაში (13), ორიმო (10)

20 აგვისტო

**ანგოლა 87:62 იაპონია**

**ანგოლა:** ალმეიდა (19), ბუქარი (16 ქულა, 14 მოხსნა), მორაიში (13)

**იაპონია:** ტაკეუჩი (13), ორიმო (11)

**გერმანია 80:56 ახალი ზელანდია**

**გერმანია:** ჰამანი (18), გარეტი (14), ფემერლინგი (11)

**ახალი ზელანდია:** პენი (12), რამპტონი (10)

**ესპანეთი 101:57 პანამა**

**ესპანეთი:** ფაედი (18), ელ ხატიბი (10)

**პანამა:** დუგლასი (9), გომესი (9), ლორედო (9)

ამ ჯგუფში ერთადერთი მართლა საინტერესო თამაში შეიძლება დღეს იყოს — ორი ფავორიტი, გერმანია და ესპანეთი ხვდება ერთმანეთს. დანარჩენი 14 შეხვედრის ხარისხიანობისა კი რა მოგახსენოთ. ჰა, ორი პოტენციური მესამეადგილოსნის — ანგოლასა და ახალი ზელანდიის ჯახს ახლდეს ინტრიგა და ეს მატჩიც დღესაა. მანამდე კი ანგოლელებმა ორივე მატჩი მოიგეს, ახალზელანდიელებმა კი ორივე წააგეს. კუნძულელები განსაკუთრებით გერმანელებთან შერცხვნენ, როცა პირველ ტაიმში სულ რაღაც 17 ქულა შეაკოწიწეს და 90 წუთში 60 ქულასაც ვერ შესწვდნენ. არადა, ეს თამაში არ წაუვიდა გერმანელთა ულაპარაკო ლიდერ დირკ ნოვიცკის — სამიანებს მიეძალა და ექვსჯერაც სტყორცნა, მაგრამ მხოლოდ ერთი ჩააგდო და 11 ქულას დასჯერდა.

საქმე ცუდად მისდით მასპინძელ იაპონელებს. შაბათსა და კვირას მათ თითო მარცხი „მიუძღვნეს" ჰიროსიმელ მაყურებლებს და თან ისე უსუსურები ჩანან, ბევრი-ბევრი, პანამასთან თუ გამოუვიდათ რამე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 0 | +60 | 4 |
| ანგოლა | 2 | 0 | +38 | 4 |
| გერმანია | 2 | 0 | +35 | 4 |
| იაპონია | 0 | 2 | -36 | 2 |
| ახ. ზელანდია | 0 | 2 | -40 | 2 |
| პანამა | 0 | 2 | -57 | 2 |

### C ჯგუფი

19 აგვისტო

**ავსტრალია 83:77 ბრაზილია**

**ავსტრალია:** ბრატონი (18), მაკინონი (14), სმითი (11)

**ბრაზილია:** ბარბოსა (18), სპლიტერი (16), ვარეშაო (15 ქულა, 10 მოხსნა)

**თურქეთი 76:74 ლიტვა**

**თურქეთი:** ქუთლუაი (16), გონლუმი (15), ილიასოვა (11)

**ლიტვა:** მასიაუსკასი (24), სონგაილა (14)

**საბერძნეთი 84:64 ყატარი**

**საბერძნეთი:** დიკუდისი (26), სპანულისი (17), ფოცისი (16)

**ყატარი:** ალი (17), ერფანი (13)

20 აგვისტო

**ბრაზილია 97:66 ყატარი**

**ბრაზილია:** სპლიტერი (18), ვარეშაო (14), ჟოვანონი (13), მაჩადო (13)

**ყატარი:** დაუდი (16), ერფანი (11)

**თურქეთი 76:68 ავსტრალია**

**თურქეთი:** ილიასოვა (17), ქუთლუაი (15), პეკერი (12)

**ავსტრალია:** ბრატონი (24)

**საბერძნეთი 81:76 ლიტვა**

**საბერძნეთი:** სპანულისი (15), ფოცისი (11), პაპადოპულოსი (10)

**ლიტვა:** სონგაილა (18), კლიეზა (14), იასაიტისი (13)

ძნელი სათქმელია, ამ სიკვდილის ჯგუფიდან კონკრეტულად ვის გაასვენებენ, მაგრამ დიდი შანსია, ეს ისეთი გუნდი გამოდგეს, იაპონიაში მედლის ასაღებად რომ ჩავიდა. მაგალითად, ბრაზილია, ან სულაც ლიტვა. ბალტიისპირელებს უკვე ორი მარცხით აქვთ ზურგი დამძიმებული — ჯერ თურქეთთან უდაძაბულესი მატჩი ბოლო წამებზე წააგეს, მერე კი საბერძნეთთანაც ვერას გახდნენ და გვარიანად გაირთულეს მერვედფინალში გასასვლელი გზა. ახლა მათ ყატართან ერთად ან ბრაზილია უნდა დაამარცხონ, ან ავსტრალია და იქნებ რაღაც გამოუვიდეთ, თუმცა ამ ორ უკანასკნელსაც დიდად არ ულხინს და პირადი ინტერესების გამო გამარჯვებების დარიგებისაგან თავს შეიკავებს. ბრაზილიაც ვერაა სახარბიელო მდგომარეობაში, მას შემდეგ, რაც ოდნავ სუსტ ავსტრალიას ქედი მოუხარა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 2 | 0 | +25 | 4 |
| თურქეთი | 2 | 0 | +10 | 4 |
| ბრაზილია | 1 | 1 | +25 | 3 |
| ავსტრალია | 1 | 1 | -2 | 3 |
| ლიტვა | 0 | 2 | -7 | 2 |
| ყატარი | 0 | 2 | -51 | 2 |

### D ჯგუფი

19 აგვისტო

**იტალია 84:69 ჩინეთი**

**იტალია:** ბაზილე (27), სორანა (14), დი ბელა (10), გარი (10)

**ჩინეთი:** მინი (30), ჟიჟი (10), ფენი (10)

**სლოვენია 96:79 სენეგალი**

**სლოვენია:** ნახბარი (17), ბეჩიროვიჩი (16), უდრიჰი (14), ოზბოლტი (11)

**სენეგალი:** აჟ (18), ნდაიე (15), სავანე (11)

**აშშ 111:100 პუერტო რიკო**

**აშშ:** ენტონი (21), ჯეიმსი (15), ჰაინრიხი (15), ვეიდი (13)

**პუერტო რიკო:** აროიო (23), აიუსო (14), დალმაუ (13)

20 აგვისტო

**პუერტო რიკო 88:79 სენეგალი**

**პუერტო რიკო:** აროიო (29), აიუსო (20), სანტიაგო (12)

**სენეგალი:** სისე (14), ნდაიე (14), ნდოიე (13)

**იტალია 80:76 სლოვენია**

**იტალია:** ბელინელი (26)

**სლოვენია:** ნესტეროვიჩი (17), ლაკოვიჩი (14)

**აშშ 121:90 ჩინეთი**

**აშშ:** ვეიდი (26), ჰოვარდი (16 ქულა, 10 მოხსნა), ენტონი (16), პოლი (13)

**ჩინეთი:** მინი (21 ქულა, 10 მოხსნა), ვანი (17), იი (13)

კიდევ ერთ შემადგენლობაგადახალისებულ ევროგრანდ იტალიას სერბეთისგან განსხვავებით, გადახალისებულობისა არაფერი ეტყობა, თუმცა ესეც სათქმელია, რომ ერთი-ორი ძველი მოთამაშე ჯერაც ბურთაობს კარლო რეკალკატის გუნდში. იტალიელებმა ორ კონკურენტს მოუგეს და ჯგუფიდან გასასვლელი ბილეთები ნახევარ გზამდე არმისულებმაც გაინაღდეს. ჩინეთთან იყოჩაღა ძველმა მეზარბაზნემ ჯანლუკა ბაზილემ, ვინაც, მგონი, სამქულიანებს ორიანებზე უკეთ ისვრის. ჩინეთს ვერც ამხელა იაო მინმა უშველა, რომელმაც ქვეშ ცოტა მოკოჭლებულ აპენინელებს 30 ქულა ჩაუყოჩალა, მაგრამ სულ ტყუილად დაშვრა. იტალიელებს ცოტა მეზობელ სლოვენიელებთან გაუჭირდათ, მაგრამ ამათაც მოუგეს. ჩანს, სწორედ იტალიელები შეეწინააღმდეგებიან ჯგუფის გაუპროტესტებელ ფავორიტ ამერიკელებს. ეს ხვალ მოხდება, მანამდე კი ამერიკელებმა ასევე მეზობელ პუერტო რიკოს განადგურებით ვერა და დამაჯერებელი ძლევით დაიწყეს მუნდიალი და ამათ ზედ ჩინეთიც მიაყოლეს.

**კოტე ყორშია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 0 | +42 | 4 |
| იტალია | 2 | 0 | +19 | 4 |
| სლოვენია | 1 | 1 | +13 | 3 |
| პუერტო რიკო | 1 | 1 | -2 | 3 |
| სენეგალი | 0 | 2 | -26 | 2 |
| ჩინეთი | 0 | 2 | -46 | 2 |




AFP სურათები

აშშ — ჩინეთი: დუიატ ჰოვარდი ჩინეთის კედელთან

ეროვნული ბიბლიოთეკა



„კოლო-ბიჭი" ძველებურად იგბინება

# ფინალი მუზეუმიდან

## ფერერომ და როდიკამ ძველი დრო გაიხსენეს

**კაცები. მასტერსი**
ცინცინატი. აშშ. ჰარდი.
საპრიზო 2 450 000 $

**მეოთხედფინალი**

**ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 7:6 7:6; **ტომი რობრედო** (7, ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (4, ხორვატია) 7:6 6:2; **ენდი როდიკი** (9, აშშ) — ენდი მიურეი (ბრიტანეთი) 6:3 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (13, ჩილე) — დავიდ ფერერი (10, ესპანეთი) 6:2 6:4

**ნახევარფინალი**

**ფერერო** — რობრედო 6:3 6:4; **როდიკი** — გონსალესი 6:3 6:3

**ქალები**
მონრეალი. კანადა. ჰარდი.
საპრიზო 1 340 000 $

**მეოთხედფინალი**

**მარტინა ჰინგისი** (7, შვეიცარია) — სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) 7:6 6:3; **დინარა საფინა** (9, რუსეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1 6:0; **ანა ივანოვიჩი** (13, სერბეთი) — კატარინა სრებოტნიკი (14, სლოვენია) 6:4 6:4; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — შაჰარ პირი (ისრაელი) 7:6 7:5

**ნახევარფინალი**

**ჰინგისი** — ჩაკვეტაძე 6:3 3:1 *(უარი)*; საფინა — ივანოვიჩი 1:6 4:3 *(გადაიდო)*

**2003 წელი** რომ იყოს, ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, მაგრამ ახლა 2006 წელია და ცინცინატის მასტერსზე ასეთ ფინალს ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა და იწინასწარმეტყველებდა. ფავორიტები — როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი, ივან ლიუბიჩიჩი ნახევარფინალამდეც კი არ მიუშვეს და ფინალში კი ენდი როდიკი და ხუან-კარლოს ფერერო გავიდნენ.

როდიკი კიდევ ხო, აი ფერერო კი ბევრს, უკვე სამუზეუმო ექსპონატი ეგონა, მაგრამ „კოლო-ბიჭი" ერთბაშად გაცოცხლდა და ცინცინატის ჰარდზე მეტოქეები ძველებურად დაკბინა.

2003 წელი რომ ვახსენეთ, მაშინ ფერერო და როდიკი პირველჩოგნობისთვის ცილობდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ რეიტინგის სათავეში და US open-ის ფინალში გვარიანი თამაშიც გააჩაღეს.

თავისი 11 ტიტულიდან ბოლო, „კოლომ", სწორედ 2003 წელს, მადრიდის მასტერსზე მოიპოვა, ხოლო ბოლო ფინალში შარშან ოქტომბერში, ვენაში ითამაშა. მიმდინარე სეზონში როდიკიც უტიტულოდაა, ცინცინატობამდე ერთადერთ ფინალში ითამაშა და ისიც წააგო.

აი, ასეთი, ბოლო ხანს ხელმოცარული ხალხი ათამაშდა და ძალიანაც კარგი, თორემ, უკვე მეორე წელია, ჩოგბურთი ფედერერ-ნადალის დუელად გადაიქცა და ეს კი, ერთგვარად მოსაწყენი გახლავთ.

ფინალის გზაზე ფერერო განთესილ თანამემამულეებს დაერია — ჯერ მეორე ნომერს, ნადალს მოუგო ტაი-ბრეიკზე წარმატებული თამაშის წყალობით და მერე გაცილებით იოლად სძლია მე-7 ნომერს, ტომი რობრედოს. როდიკს რაც შეეხება, იმ, ჩვენს მიერ არაერთგზის ნახსენები 2003 წლის ცინცინატის ჩემპიონმა მეოთხედფინალში უპრობლემოდ აჯობა მანამდე თვით ფედერერის შემმუსვრელ ბრიტანელ ენდი მიურეის, ხოლო ნახევარფინალში ჩილელი ოლიმპიური ჩემპიონი ფერნანდო გონსალესი დაჩოგნა.

ძველი სახეა მონრეალის ქალთა სუპერტურნირის ფინალშიც — მარტინა ჰინგისმა რუსების — სვეტლანა კუზნეცოვასა და ანა ჩაკვეტაძის გავლით უწია გადამწყვეტ შეხვედრას და მეორე ფინალისტის გამოვლენა კი უამინდობის გამო გადაიდო — კოხტა სერბმა გოგომ ანა ივანოვიჩმა კიდევ ერთ რუსს, დინარა საფინას პირველ სეტში გადაურბინა, ხოლო მეორის მსვლელობისას გაწვიმდა და თამაში გადაიდო.

**გია მუჯირი**

---

სამი ერი 2006

# შვიდთვიანი ზელანდია

## შავები ყველაფერს ვადამდე აკეთებენ

**სამხრეთ** ნახევარსფეროს უმთავრესი ტურნირისა წლევანდელი სამი ერის გადამწყვეტი მატჩი ახალზელანდიურ ველინგტონში შედგა. შაბათს „ედენ პარკზე" 45 ათასი მოსეირის თვალწინ, ლეგენდარულმა „ოლ ბლექსმა" 80-წუთიან თრილერში მოუგო გაავებულ ავსტრალიას და პირველ სამწრიან სამ ერზე ვადამდე იჩემპიონა. შაბათს ზელანდიამ ერთბაშად ორი თასი შემართა — ერთი სამი ერის, მეორე კი მასა და ავსტრალიას შორის საცილო და გარდამავალი „ბლედისლოუს თასი".

ავსტრალია ძალიან დაალალატა მლეტელმა ფილ ვუმ. საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე ვუ ზურგიდან უწესოდ დაესხა თავს ახალზელანდიელ მოიერიშეს, რაც რეფერის სასტვენს არ გამოჰპარვია და აჭრილი ავსტრალიელი სინბინში გაისტუმრა. სინბინი კი რაგბიში ყვითელ ბარათს ნიშნავს და 10-წუთიანი გაძევებით ისჯება. რაკი მატჩის დასრულებამდე სამი წუთილა რჩებოდა, ავსტრალიამ კაცნაკლულმა ჩაამთავრა ჯახი და ტურნირის გადამწყვეტი ლელო გაუშვა. ლელო კი მატჩის გმირმა ლუკ მაკალისტერმა გაიტანა, რომელმაც მთელი თამაში მაგრად ატერორა ავსტრალიელთა მბოჭავები და მოედნის ყველა წერტილიდან სლალომები მოაწყო.

მატჩის დებიუტი ქულა-ქულაში მიდიოდა. პირველი ტაიმის ბოლოს კი ავსტრალია ლოთე ტუკირის და რიკ ოლსომის ლელობით და სტირლინგ მორტლოკის ჯადო ფეხით 20:11 დაწინაურდა, მაგრამ მეორე ტაიმში ზელანდიამ აიწყვიტა და ავსტრალიას, შეიძლება ითქვას, გადაუარა. ერთი პირობა ავსტრალიაც აჯანყდა, იტონისა და „შავების" ყოჩი რიჩი მაკქოუს ლელოები ტუკირიმ ერთით გაქვითა, მაგრამ მერე ვუ გამოხტა და კაცნაკლული ავსტრალია „ოლ ბლექსის" ფეხქვეშ გაითელა.

**ბაჩო სვანიძე**

19 აგვისტო. ოკლენდი
**ახალი ზელანდია 34:27 ავსტრალია**

**ახალი ზელანდია:** მულიაინა, ჰაულეტი, ტოიავა (მაკდონალდი), მაკალისტერი, როკოთოკო, კარტერი, კელეჰერი (ვეპუ); ვუდკოკი, მიილამუ, ჰეიმანი (სომერვილი), ჯეკი, იტონი (უილიამსი), კოლინსი, მაკქოუ (კაპ), სოიალო (მასოი)
ვლ: იტონი, ჯეკი, მაკალისტერი; 2გ: კარტერი; 5ს: კარტერი

**ავსტრალია:** ლატამი, რესბოუნი, მორტლოკი (ჯერარდი), ჟიტო, ტუკირი, ლარკემი (როჯერსი), გრეგანი (კაპ); ჰომსი, პოლი, ბლეიკი (ბაქსტერი), შარფი, ვიკერმანი, ელსონი (ჩიზომი), პელუ
ვლ: ტუკირი (2), ელსონი; 3გ: მორტლოკი; 2ს: მორტლოკი



რიჩი მაკქოუმ ახალ ზელანდიას თასები შეუგროვა

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 4 | 0 | 0 | +50 | 17 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 3 | +20 | 11 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 0 | 3 | -65 | 1 |

---



# ბებრის მუშტი ისევ ჭრის

**43 წლის** რკინასაც კი ეკიდება ჟანგი, მაგრამ მსოფლიოსჩემპიონყოფილი ევანდერ ჰოლიფილდის მუშტები ძველებურად ანგრევენ მოწინააღმდეგის ცხვირ-პირს.

რინგზე დაბრუნებულმა მაიკ ტაისონისგან ყურმოჭმულმა 43 წლის ჰოლიფილდმა, როგორც იქნა, ბრძოლა მოიგო. ამჯერად ექსჩემპიონის მუშტებს შვილის ტოლა ჯერემი ბეიტსი შეეწირა, რომელიც ოდენ რაუნდნახევარი დაუდგა უბერებელ ვეტერანს.

აქამდე პენსიიდან დაბრუნებული ჰოლიფილდი ბრძოლას ბრძოლაზე აგებდა, მაგრამ საკუთარი სახის გაიმასქნება ძალიან მობეზრდა და ცხელ გულზე ბეიტსი გამოიჭირა. პირველ რაუნდში ჰოლიფილდმა ბაგირს გააკრა ბეიტსი, მეორე რაუნდში კი თავისი ბებერი მუშტებით მაგრად გალახა მოწინააღმდეგე, რომელსაც ხელის შებრუნების თავი აღარ ჰქონდა, რინგის რეფერიმ შეიბრალა და ბრძოლა ჰოლიფილდის სასარგებლოდ შეწყვიტა.

„ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ. ბევრი მიიჩნევდა, რომ რინგზე სალაბუცოდ დავბრუნდი, მაგრამ დავამტკიცე რომ ჯერ კიდევ ის ტყვია ვარ, მჭიდში სასროლად გამზადებული რომ დევს" — ნაბრძოლევს ძალიან ბაქიბუქობდა ჰოლიფილდი.

გალახული ჯერემი ბეიტსი კი მაინცდამაინც დაღონებული არ ჩანდა, პირიქით: „ცხადია, მარცხი ძალიან დასანანია, მაგრამ ვამაყობ, რომ რინგზე ჰოლიფილდის წინ ვიდექი და რაღაც წინააღმდეგობა მაინც გავუწიე".

**ბაჩო სვანიძე**




ჰოლიფილდის რქებმა აღმართი ახნა

### მძლეოსნობა

# 9,77! ასაფამ ასი მეტრი მოაჯადოვა



AFP ცირიხიდან

**9,77 წამი**, ისევ 9,77, უკვე მესამედ — ასაფა პაუელი იმეორებს და იმეორებს თავისივე მსოფლიოს რეკორდს, მაგრამ თუნდაც ერთი მეასედის ჩამოკლებასა და ახალი რეკორდის დამყარებას ველარ ახერხებს.

ფეხმარდმა იამაიკელმა ახლა ციურიხში, „ოქროს ლიგის" მორიგ ეტაპზე შეუტია რეკორდს, მაგრამ სულ ცოტა დააკლდა, თითქოს მოჯადოებულიაო და, ისევ გამოერება გამოვიდა. თანაც ასაფას კარგა ღირსეული კონკურენტი ჰყავდა წლეულს ამობრწყინებული ამერიკელის ტაისონ გაის სახით, რომელმაც ჰაუელთან დავაში 100 მეტრი 9,84 წამში გაირბინა და პირადი რეკორდი დაამყარა.

„ოქროს ლიგის" ოქროს ზოდებიან ჯეკ-პოტს კი ორი კანდიდატი ჰყავს — 400 მეტრზე მორბენალი თეთრი ამერიკელი ჯერემი უორინერი და 5000 მეტრის ეთიოპიელი ასი კენენისა ბეკელე. უორინერმა წლევანდელი „ოქროს ლიგის" ოთხივე ეტაპი მოიგო. ციურიხში მან ერთი წრე 44,20 წამში გაირბინა და კონკურენტებს შანსი არ დაუტოვა. რაც შეეხება ბეკელეს, მან პირველის გარდა ყველა ეტაპი მოიგო — ცირიხში ეთიოპიელმა კენიელ სონგოლკთან მძაფრ ბრძოლაში იმარჯვა და 5 კილომეტრი 12 წუთსა და 48,25 წამში გაირბინა.

მსოფლიო რეკორდს ძველმა კენიელმა, აწ კი ყატარის სახელით მოასპარეზე საიფ სააედ შაჰინმაც შეუტია ურთულეს დისციპლინაში — 3000 მეტრზე წინაღობებით სირბილში და მეტოქეები თითქმის ოცი წამითაც ჩამოიტოვა, მაგრამ რეკორდი აქაც ხელუხლებელი დარჩა — შაჰინმა დისტანცია 7 წუთსა და 56,54 წამში გაირბინა.

საშუალო დისტანციებზე სირბილში ბადალი არ ჰყავდათ აფრიკელ კაცებს — 800 მეტრზე ყველას სამხრეთ აფრიკელმა მულაუძიმ აჯობა, ხოლო 1 500 მეტრზე მთელი კვარცხბეკი კენიელებმა — ჩოგემ, კიპჩირჩირმა და კემენმა დაიპყრეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამხტომში ბადალი არ ჰყავდა ახლახანს დასრულებული ევროპის ჩემპიონატის შვედ ტრიუმფატორ კრისტიან ოლსონს. თავისი სიძლიერე გიოტებორგის კიდევ ერთმა გამარჯვებულმა, ლიტველმა ვირგილიუს ალეკნამაც დაამტკიცა — ბადრო 68,51 მეტრზე გატყორცნა.

ქალთა შორის ყველაზე კარგი სანახავი სიმაღლეზე მხტომელთა შეჯიბრი გამოდგა და სეზონს საუკეთესო შედეგის პატრონი და მსოფლიო რეკორდზე მეოცნებე შვედი კაისა ბერგკვისტი ისევ დამარცხდა — მხოლოდ 202 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და 2 სანტიმეტრით ჩამორჩა გიოტებორგის მერცხლის მედალოსანს, ბულგარელ ვენევას.

**გია მუჯირი**

### ცურვა

# ამერიკელებმა რეკორდი დაიბრუნეს



AFP ვიქტორიიდან

ამერიკელი რეკორდსმენები: ზემოთ „4-ასეული" ნაკრები, ქვემოთ აარონ პირსოლი



**ვიქტორიაში**, წყნარი ოკეანის ქვეყნების აუზის ჩემპიონატში გაუმჯობესდა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დამყარებული ყველაზე მოულოდნელი და ხმაურიანი მსოფლიოს რეკორდი 4 X 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (3.13,17), რომლის ავტორებიც სამხრეთაფრიკელი სპორტსმენები იყვნენ. ეს შედეგი ამერიკელებმა მაიკლ ფელპსმა, ნილ უოკერმა, კალენ ჯონსმა და ჯეისონ ლეზაკმა გააუმჯობესეს — 3.12,46, რითაც თავიანთ ქვეყანას მსოფლიოს რეკორდი დაუბრუნეს.

ამ ესტაფეტას მოჰყვა ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონის აარონ პირსოლის მიერ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში თავისივე შარშანდელი მსოფლიო რეკორდის (1.54,66) გაუმჯობესება — 1.54,1.

შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებაზე მანამდე კიდევ ორი მსოფლიოს რეკორდი დამყარდა, რომელთა ავტორები იყვნენ მაიკლ ფელპსი (200 მეტრზე ბატერფლაით — 1.53,80) და ავსტრალიელი ჯესიკა შიპერი (იმავე დისციპლინაში — 2.05,40).

**ავთანდილ ჭყვიშელი**

### ხელბურთი

# საიმედო წილისყრა

**ავსტრიის** საკურორტო ქალაქ ინსბრუკში მოეწყო ვაჟ ხელბურთელთა 2008 წლის ევროჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა. ეს ღონისძიება დაემთხვა იქ მიმდინარე კონტინენტის ახალგაზრდული (20 წლამდე) პირველობის ფინალს. 26 ქვეყანა შვიდ ჯგუფში განაწილდა. ქართველ ხელბურთელებს მეტოქეებათ რუმინეთის, ბულგარეთისა და ლატვიის ნაკრებები ერგოთ. ორწრიანი ჯგუფური ტურნირიდან შემდგომ ეტაპზე ბრძოლას ორი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს. თამაშები მიმოსვლით 2007 წლის იანვარში გაიმართება.

ჩვენს ჯგუფში ფავორიტად მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რუმინეთის ნაკრები ითვლება. ქართველ ხელბურთელებს კი, ვფიქრობთ, მეორე საპლეიოფო ადგილის დაკავების რეალური ძალა შესწევთ, თუკი, ცხადია, საშინაო მატჩებს საქართველოში გამართავენ და არა მეტოქეთა მოედნებზე, როგორც ეს ბოლო წლებში იყო.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ 20-წლამდელთა ჩემპიონატი გერმანელმა ჭაბუკებმა მოიგეს, რომლებმაც ფინალურ შეხვედრაში შვედ თანატოლებს სძლიეს — 24:19. მესამე ადგილზე დანიელები გავიდნენ.

პოლონეთის ნაკრები, რომელმაც აპრილში თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ შესარჩევ ტურნირში პირველობა და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა, ინსბრუკში მხოლოდ მე-11 ადგილზე დარჩა.

**გია ახალაძე**

### მოტორბოლა

## მსოფლიოს ჩემპიონატი. XII ეტაპი

### ჩეხეთის დიდი პრიზი. ბრნო — 5,403 კმ

**მოტო გრან პრი — 118,9 კმ**

1 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) — 43 წთ; 40,2
2 ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა) — ჩამორჩა 4,9
3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — 8,0

**საერთო ჩათვლა**

1 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) 201 ქულა; 2 პედროსა 176; 3 როსი 163; 4 მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა) 161; 5 კაპიროსი 151

**250 სმ³ — 108,1 კმ**

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — 41 წთ; 29,2
2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰუმანჯესტ ჰონდა) — ჩამორჩა 2,51
3 ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) — 2,52

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 199 ქულ; 2 დოვიზიოსო 192; 3 იუკი ტაკაჰასი (იაპონია, ჰუმანჯესტ ჰონდა) 133; 4 აოიამა 132; 5 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია) 131

**125 სმ³ — 102,7 კმ**

1 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) — 41 წთ; 00,7
2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — ჩამორჩა 0,03
3 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ჰონდა რეისინგი) — 11,4

**საერთო ჩათვლა**

1 ბატისტა 230 ქულა; 2 კალიო 161; 3 მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია) 147; 4 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 133; 5 ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 123

### ავტორბოლა

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
## მეათე ეტაპი. ფინეთი. 351,6 კმ

**რბოლის შედეგები**

1 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) — 2სთ; 52.50,3
2 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) — ჩამორჩა 1.06,7
3 მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) — 1.34,5
4 ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, პეჟო) — 3.57,8
5 ჯანლუიჯი გალი (იტალია, პეჟო) — 5.39,9
6 იანე ტუოჰინო (ფინეთი, სიტროენი) — 6.05,0
7 იანე ვალიმიაკი (ფინეთი, მიცუბისი) — 6.55,4
8 იან კოპეცკი (ჩეხეთი, შკოდა) — 10.15,0

**საერთო ჩათვლა**

1 ლოები — ელენა 92 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 61; 3 სორდო — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 41; 4 ჰირვონენი — ლეჰტინენი 27; 5 შტოლი — მინორი (ავსტრია, პეჟო) 24; 6 პეტერ სოლბერგი — მილსი (ნორვეგია, სუბარუ) 20; 7 გარდმაისტერი — ჰონკანენი (ფინეთი, პეჟო) 16; 8 ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი 16; 9 გალი — ბერნაჩინი 15; 10 პონსი — დელ ბარიო (ესპანეთი, სიტროენი) 11

**კონსტრუქტორთა თასი**

კრონოს ტოტალ სიტროენი 122 ქულა, BP-ფორდი 107, სუბარუ WRT 65, OMV პეჟო ნორვეი 50, სტობარტ ფორდი 24, რედ ბულ შკოდა 22


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge